ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 23 ივნისი, 2021

№112 (8641)

ფასი: 60 თეთრი

## ნაზი ჯანეზაშვილი: „თუ სასამართლოში დარჩენილი ვაკანსიები შეივსო, რეფორმას აზრი აღარ ექნება“



გვ.5

## ბათუმში დააკავეს 40 წლის ქალი, რომელსაც მოქალაქეების უცხოეთში უკანონოდ დარჩენის ორგანიზება ედება ბრალად



გვ.5

# „სასამართლო კლანი პარლამენტში ანრი ოხანაშვილმა გადაიბარა“



გვ.3

გედევან ფოფხაძე: „პირადად ბიძინა ივანიშვილის დავალებით გამათავისუფლეს კომიტეტის თავმჯდომარეობიდან“



## „ნაციონალებმა საკუთარი რეიტინგი სულ გაინადგურეს“



სოსო შატბერაშვილი: „პარლამენტში უპრინციპო, უპირო ოპოზიცია შევიდა, არც არჩევნების გაყალბება აღელვებს და არც ცესკოს თავმჯდომარე“



გვ.4





აკაკი ბობოხიძე: „ამ ხელისუფლებას იმაზეც კი დასწყდა გული, 2008 წელს დიღომში შემოსული ტანკები რუსული კი არა, ქართული რომ იყო“

## „მდინარაძე უსინდისოდ იტყუება!“



გვ.2



გვ.3

## არჩილ თალაკვაძე: „ნაცმოძრაობამ არც ომი იცის და არც მშვიდობა“



გვ.5

## შინაგან საქმეთა მინისტრი საქართველოში გაერთიანებული სამეფოს ელჩს შეხვდა

## პური 7 თეთრით ძვირდება



გვ.4

ISSN 1987-9385

**4** პარტია, რომელიც მანდატებზე უარს იტყვის, ბიუჯეტიდან დაფინანსებას დაკარგავს

**2** თენგიზ ცერცვაძე: „წლის ბოლოსთვის მოსახლეობის 65% ვაქცინირებული გვეყოლება და პანდემია დაძლეული იქნება“

**5** სუსმა ნაცმოძრაობის წევრი თამაზ შოშიტაშვილი დააკავა

**6** ესპანეთის პრემიერმა სანჩესმა კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრე 9 ლიდერი შეიწყალა

# „მდინარაძე უსინდისოდ იტყუება!“

## აკაკი ბობოხიძე: „ამ ხელისუფლებას იმაზეც კი დასწყდა გული, 2008 წელს დიღომში შემოსული ტანკები რუსული კი არა, ქართული რომ იყო“

იაგო ნაცვლიშვილი

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა მდინარაძემ წინა ხელისუფლება აგვისტოს ომის დროინდელი მტკიცებულებების მიმალვაში დაადანაშაულა. ამის შესახებ მან 21 ივნისს „მთავარი არხის“ ეთერში, გიორგი გაბუნიასთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

„2012 წლამდე, ისკანდერის, მთავარი მტკიცებულება რაც იყო რუსების იმ მავნებლური საქციელის და ომის დაწყებისაც და კასეტური ბომბების გამოყენებისაც, მთავარი მტკიცებულება, ისკანდერის ნაწილები გაქრა და შემდეგ ჩვენი ამერიკელი პარტნიორების მეშვეობით მოვიძიეთ“ – თქვა მდინარაძემ.

მისი მტკიცებითვე, 2016 წელს დავით უსუფაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ რუსეთიდან ჩამოიყვანეს სლუცკი და კოვალოვი, რათა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის არჩევისას გიგი წერეთლისთვის დაეჭირათ მხარი. მდინარაძე ამბობს, რომ თუ მათი ჩამოსვლა არ იყო პრობლემა, მაშინ გავრილოვი ვინ იყო ისეთი.

მამუკა მდინარაძის ამ ბრალდებებზე წინა ხელისუფლების წარმომადგენელი, „ევროპული საქართველოს“ გენერალური მდივანი **აკაკი ბობოხიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს:

***– აგვისტოს ომის თემა ისევ დისკუსიის საგანი გახდა, რომელიც მამუკა მდინარაძემ წამოიწყო გიორგი გაბუნიასთან ინტერვიუში და წინა ხელისუფლება მტკიცებულებების გაქრობაში დაგადანაშაულათ. გააგრძელეს დეპუტატებმა პარლამენტში, მათ შორის თალაკვაძემ გითხრათ, რომ არც ომი იცით და არც მშვიდობაო. რას ეტყოდით ამ ყველაფერზე?***

– საკუთარი თავის მიმართ ძალიან უპატივცემულოდ უნდა იყო განწყობილი ადამიანი, რომ წინასწარ აკვიატებულ მესიჯებს მაინც ჯიუტად იმეორებდე, იმის მიუხედავად, რომ არგუმენტები არ გაქვს. ერთი რეზოლუციაზე აქვთ ვითომ გართულება, რომ თითქოს საქართველომ აღიარა ომის დაწყებაო, რაც სრული აბსურდია. ამას სჭირდება ელემენტარული რამე – წაიკითხო რეზოლუცია, სადაც მსგავსი რამე არ წერია. გარდა ამისა, ამას გვეუბნებიან ის ადამიანები, ვინც პოლიტიკურ დებატებში ხშირად ადანაშაულებენ საქართველოს ომის დაწყებაში. ამას გვეუბნებიან ის ადამიანები, ვის პოზიციებზე დაყრდნობითაც რუსეთის მოკავშირეები ევროპარლამენტსა თუ ევროკავშირში იშველიებდნენ მაგ არგუმენტებს, თითქოს საქართველო იყო ომის დამწყები.

დღეს აკვიატებულად, რობოტებივით და თუთიყუშებივით იმეორებენ ასეთ სისულელეებს. ეტყობა, სადღაც შეთანხმდნენ, რომ ასე უნდა დავაბრალოთო. ამას აკეთებენ უსინდისოდ საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობის დაკარგვით. როდესაც ადამიანი სულელად გამოდიხარ და მაინც ისულელებ თავს, უბრალოდ, უღირსი ხარ.

მეორე, მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ რაღაცა მასალები დაიკარგა. დაურეკეთ



მამუკას და ჰკითხეთ და სად აღმოაჩინეს ეს ისკანდერის მასალები რომ „დაიკარგა“. მე გეტყვით, სადაც „აღმოაჩინეს“ – ჩვენ პარტნიორებთან აშშ-ში, სადაც ექსპერტიზისთვის იყო გაგზავნილი.

***– პარტნიორი აშშ დაგვეხმარა, რომ გვეპოვა დაკარგული მასალებიო.***

– ამერიკელებმა სად „აღმოაჩინეს“, ეგ არის საინტერესო. საქართველოში რომელიღაც საწყობში იყო და ამერიკელებმა იპოვეს?! თუ რომელიღაც სხვა ქვეყანაში იყო და ამერიკამ მიაგნო?! ვთქვათ რუსეთში, ავღანეთში, ერაყში, ან თუნდაც საფრანგეთში? ეს ხომ უბრალოდ სასაცილოა. ის არც საკუთარ თავს სცემს პატივს და წამწამის დაუხამხამებლად იძახის სისულელეს. რაც ყველაზე მთავარია, ჰგონიათ, რომ რასაც საკუთარ ამომრჩეველს ეტყვიან, ყველაფერს დააჯერებენ და ჰგონიათ, რომ მისი ამომრჩეველი უტვინოა და აზრის გამოტანა არ შეუძლია.

***– მე ყოველთვის მიჩნდება კითხვა ხელისუფლების მისამართითაც და ოპოზიციის მისამართითაც – როცა ეს საკითხი არის ეროვნული ინტერესების, რატომ ვერ თანხმდება პოლიტიკური კლასი, რომ ქულები კი არ იწერონ ამ თემაზე სპეკულაციებით, არამედ ეროვნული ინტერესებიდან ამოვიდნენ? რატომ არ ვიღებთ მაგალითებს იგივე ბალტიისპირეთის ქვეყნებისგან?***

– როდესაც შეუთანხმებლობის დროს შეთანხმების ვერმიღწევაზე ორივე მხარეს ერთნაირად ვაკისრებთ პასუხისმგებლობას, თუ ორივე ერთნაირად არ არის დამნაშავე, ასეთ შემთხვევაში დამნაშავის პასუხისმგებლობა გამოდის. ახლა თქვენ თქვით ასეთი რამე, რატომ ვერ ახერხებთ პოლიტიკური ძალებიო. ვინ ვერ ახერხებს? – „ოცნება“ ვერ ახერხებს. ამას ვეუბნებით სწორედ, რომ პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე საკუთარ ქვეყანას აბრალებდე ომის დაწყებას, თან საკუთარ ტერიტორიაზე. ნუ დამისვამთ კითხვას ისე, რომ პასუხისმგებლობა თანაბრად იყოს ორივე მხარეზე – ხელისუფლებაზეც და ოპოზიციაზეც. ასეთ დროს პასუხისმგებლობის განაწილებით შეღავათს ღებულობს დამნაშავე და ამ ვითარებაში დამნაშავე ხელისუფლებაა. ის აბრალებს საქართველოს ომის დაწყებას.





გუშინ სააპელაციო სასამართლოში განიხილებოდა საკითხი ნავალნის ერთ-ერთი დამფინანსებლის საქმეზე. რომელიც საქართველოში იმ იმედით შემოვიდა, რომ პოლიტიკურ დევნას გადაურჩებოდა. უნდა ნახოთ, რა არგუმენტებით ცდილობს სახელმწიფო სასამართლოს დაუმტკიცოს, რომ ექსტრადირებაა გასაკეთებელი – თითქოს რუსეთში სასამართლო ნდობას იმსახურებს; რუსეთში სასჯელაღსრულების თვალსაზრისით სიტუაცია გამოსწორდა და ა. შ. იმის გამო, რომ ასე აწყობთ, არავინ ფიქრობს იმას, რომ სახელმწიფოს ასეთ პოზიციას, მით უმეტეს, სასამართლოსგან გაზიარებულს, ჰააგაში დაგვიდებენ საქართველოს მოქალაქეების რუსეთის წინააღმდეგ საქმეებში. გვეტყვიან, რომ ის ხალხი არ ხართ, ვინც ენდობა რუსულ მართლმსაჯულებასო და თვლით, რომ რუსეთში სიტუაცია გამოსწორდა ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისითო?!

### მდინარაძეს იდიოტები ვგონივართ მეც, თქვენც და ჩვენი მოქალაქეებიც, რადგანაც თვლის, რომ ასე მოკლეკუდიანი ტყუილი შეიძლება გაუვიდეს

ამიტომ, როდესაც ამბობთ, რომ ვერ თანხმდებით, ამას ჰყავს კონკრეტული დამნაშავე. არის ხოლმე საკითხები, სადაც, შესაძლოა, ორივე მხარე იყოს დამნაშავე, მაგრამ ამ საკითხში, ჩემი აზრით, მხოლოდ ერთი მხარეა დამნაშავე. რომ დაგიმტკიცოთ, მართალი არ ხართ და ეგ შეკითხვა სამართლიანი არ არის, ერთ მაგალითსაც მოგიყვანთ: იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ მასობრივი პროტესტია ნამახვანჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, მარტო მაგ მოტივით, რომ ხალხი ხელისუფლების წინააღმდეგია, მას არ ვუჭერთ მხარს. პირიქით, ვამბობთ, რომ ჰესი უნდა აშენდეს. წარმოგიდგენიათ, რას გააკეთებდა ეს ხელისუფლება ოპოზიციაში ყოფნის დროს?! იმაზეც კი დასწყდათ გული, რომ 2008 წელს დიღომში შემოსული ტანკები ჩვენი ჯარების აღმოჩნდა და არა რუსული.

***– მდინარაძემ ისიც თქვა, რომ 2016 წელს სლუცკი და კოვალიოვი „ნაცმოძრაობამ“ და უსუფაშვილმა ჩამოიყვანეს გიგი წერეთელის მხარდასაჭერადო, რომელსაც ეუთოში ირჩევდნენ და თუ მათი ჩამოყვანა არ იყო პრობლემა, გავრილოვის რატომ იყოო. რა პასუხი გაქვთ ამაზე?***

– მანდაც ან რეგვენებთან გვაქვს საქმე, ან უსინდისოებთან, ან ორივესთან ერთად. არსებობენ ერთდროულად რეგვენებიც და უსინდისოებიც. ეუთოს ღონისძიება იყო და ვერ ჩამოიყვანდნენ. სხვათა შორის, გიგი წერეთელი დამარცხდა მაგ არჩევნების დროს და მას რუსული დელეგაცია მხარს არ უჭერდა. ქართველი კაცის დამარცხებაში მონაწილეობა იცით ვინ მიიღო? – სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ. ჩვენი ხელისუფლება რუსეთის დელეგაციასთან ერთად იმაზე მუშაობდა, რომ დამარცხებულიყო გიგი წერეთელი. თუმცა, მერე მაინც გახდა წერეთელი ეუთოს პრეზიდენტი.

***– როდესაც გავრილოვთან სვამენ ტოლობის ნიშანს, ეს რაზე მიანიშნებს?***

– განსხვავება დიდია ვითომ საერთაშორისო ორგანიზაციასა და ეუთოს შორის. მართლმადიდებელ ქვეყანათა ასამბლეა რეალურად კრემლიდან მართული ორგანიზაციაა. ეუთოს ასამბლეა სხვა რამეა და ამაზეც დაფიქრება გვმართებს. თანაც ის არ ჩატარებულა პარლამენტში, ის ჩატარდა გამოფენაზე, რომელიღაც ღონისძიებათა სივრცეში. ის ხალხიც, ვინც დამისახელეთ, გიგი წერეთლის მოწინააღმდეგეთა ბანკში იყვნენ. უსუფაშვილი „ოცნებას“ წარმოადგენდა, თუმცა რა კავშირშია უსუფაშვილი, ვერ ვხვდები. იმიტომ ვამბობ, რადგანაც ის მდინარაძემ ახსენა.

მდინარაძეს იდიოტები ვგონივართ მეც, თქვენც და ჩვენი მოქალაქეებიც, რადგანაც თვლის, რომ ასე მოკლეკუდიანი ტყუილი შეიძლება გაუვიდეს. ჩვენ, სამწუხაროდ, ვუტარებთ და ფაქტია, რომ გასდით. ოღონდ იმიტომ კი არა, რომ იდიოტები არიან. მათ არგუმენტი სჭირდებათ, აბა იმას ხომ არ იტყვიან, რომ სამსახურში ვართ გაფორმებული და არაფრის კეთებაში ხელფასს ვიღებთო?! ბიუჯეტზე უზით წურბელები. მათი ცნობილი ტერმინია: „კარტოჩკა მომცეს“. ანუ, სადღაც გააფორმეს სამსახურში, მისცეს სახელფასო ბარათი და მეტი არც იცის, სად მუშაობს, გარდა იმისა, რომ თვის ბოლოს ხელფასს გამოიტანს ბანკომატიდან.

# თენგიზ ცერცვაძე: „წლის ბოლოსთვის მოსახლეობის 65% ვაქცინირებული გვეყოლება და პანდემია დაძლეული იქნება“

– მინდა, მივმართო მოსახლეობას, რომ არავითარ შემთხვევაში არ გაიტეხონ გული იმის გამო, რომ საქართველოში ვაქცინაცია დაგვიანდა და ჯერ ვერ გავიდა სამიზნე მასშტაბებზე – რაც დაგვიანდა – დაგვიანდა, წლის ბოლოსთვის მოსახლეობის 65% გვეყოლება ვაქცინირებული და საქართველოში პანდემია დაძლეული იქნება.

ამის შესახებ ინფექციური საავადმყოფოს დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, პანდემიის დასრულებისთვის მარტო ვაქცინაცია არასაკმარისია.





– პანდემიის დასრულებისთვის მარტო ვაქცინაცია არ იქნება საკმარისი, ვაქცინაცია, პლუს ეფექტური ანტივირუსული მედიკამენტი უნდა შეიქმნას. ვაქცინაციას ალტერნატივა არ აქვს, რაც უფრო ფართომასშტაბის იქნება, მით უფრო ჩქარა დავუბრუნდებით ნორმალურ ცხოვრებას. მინდა მივმართო მოსახლეობას, რომ არავითარ შემთხვევაში არ გაიტეხონ გული იმის გამო, რომ საქართველოში ვაქცინაცია დაგვიანდა და ჯერ ვერ გავიდა სამიზნე მასშტაბებზე, დღეში 5-6 ათასი კაცი იცრება, როდესაც 14-15 ათასი უნდა იცრებოდეს. ეს შეფერხება და დაგვიანება უახლოვდება ფინიშს.

ივლისის პირველივე კვირიდან საქართველოში უწყვეტი ნაკადების სახით დაიწყებს შემოდინებას ვაქცინების დიდი რაოდენობა. არათუ ასეთი შეფერხება არ იქნება, არამედ იქნება მასობრივი ვაქცინაცია, ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. ამისთვის ქვეყანა კარგად ემზადება, ვაქცინაციის 200-ზე მეტი პუნქტი უკვე არის და როგორც ვიცი, გაორმაგდება. ჩვენთან ვაქცინაცია გვიან, მაგრამ ძალიან კარგად, სრულყოფილად წავა, შემიძლია სრული პასუხისმგებლობით მოვახსენო მოსახლეობას, რაც დაგვიანდა – დაგვიანდა, წლის ბოლოსთვის სამიზნეზე გავალთ, მოსახლეობის 65% გვეყოლება ვაქცინირებული, წლის ბოლოსთვის საქართველოში პანდემია იქნება დაძლეული, – აღნიშნა ცერცვაძემ.



მან „ასტრაზენეკას“ ვაქცინის შეფერხებით მოწოდებაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ „ასტრაზენეკას“ ვაქცინის დოზები რამდენიმე დღეში ჩამოვა საქართველოში და „პრობლემა არ იქნება.“

თენგიზ ცერცვაძე ვარაუდობს, რომ 100-120 პირს შეექმნა შეფერხება „ასტრაზენეკას“ ვაქცინით აცრისას.

– „ასტრაზენეკას“ ვაქცინის მეორე დოზით გაკეთებაში შეფერხება გამოიწვია ტექნიკურმა ფაქტორმა, ვაქცინა შეძენილია, მისი ტრანსპორტირება სამი დღის წინ უნდა მომხდარიყო, შესაბამისად, ყველაფერი გათვლილი იყო, რომ გეგმის მიხედვით წარიმართებოდა.

რამდენადაც მე ვიცი, გადაზიდვის პრობლემა იყო. ის პარტია, რომელიც უნდა ჩამოსულიყო, ვერ აღმოჩნდა თვითმფრინავის რეისზე. ამან გამოიწვია იმ რამდენიმე ათეული თუ ასამდე პაციენტის შეფერხება, რომელიც უნდა აცრილიყო „ასტრაზენეკათი“. რამდენადაც ვიცი, რამდენიმე დღეში ჩამოვა ეს პარტია, საკმაოდ დიდი პარტიაა, 43 ათასი დოზაა, პრობლემა არ იქნება, – აღნიშნა ცერცვაძემ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის განცხადებით, ვაქცინის მოწოდებაში სერიოზული შეფერხებაა, რომელიც დაკავშირებულია ბევრ ფაქტორთან. მისივე განმარტებით, „ასტრაზენეკას“ ვაქცინის დეფიციტი ძირითადად შეიქმნა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ასევე ცენტრალურ ინფექციურ საავადმყოფოში და ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სასამართლო კლანი პარლამენტში ანრი ოხანაშვილმა გადაიბარა“

## გედევან ფოფხაძე: „პირადად ბიძინა ივანიშვილის დავალებით გამათავისუფლეს კომიტეტის თავმჯდომარეობიდან“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო გედევან, უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი პარლამენტში გადაინაცვლებს. ჩვენ ვიცით, რომ შარლ მიშელის დოკუმენტში ერთ-ერთი შეთანხმება სწორედ სასამართლოს ეხება. თავის დროზე თქვენი გუნდთან დაპირისპირების მიზეზი სწორედ ეს საკითხი იყო. რა მოლოდინი უნდა გვქონდეს?***

— ამ პროცესს მოსამართლეთა დანიშვნის დროებით შეჩერება ვერ უშველის. იტყვიან — სასამართლო სისტემა კოლაფსშია, ვაკანსიებია, საქმეების განხილვას ვერ ვასწრებთ, ამიტომ მოსამართლეებია დასანიშნიო. შეგნებულადაც აკეთებენ ამ ყველაფერს, შეგნებულად არ იხილავენ საქმეებს, რომ სისტემის კოლაფსს ხელი შეუწყონ, რათა სათქმელი ჰქონდეთ, რატომ არ გვინიშნავთ ახალ მოსამართლეებს. ეს, ის ფარსია, რომელიც „ქართული ოცნებისთვის“ ჩვეული გახდა.



მოსამართლეები, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლების დროს დაინიშნნენ და რომლებიც შეკვეთებს ასრულებდნენ, დღესაც სისტემაში არიან და ახლა წარმატებით „ქართული ოცნების“ შეკვეთებს ასრულებენ. ამ მოსამართლეების გადანიშვნა სრულიად პრაგმატული მოსაზრებით მოხდა.

***— დაკვეთის შემსრულებელი მოსამართლე, ყველა ხელისუფლების პირობებში შეასრულებს დაკვეთას.***

— დიახ, ეს კლასიკური მაგალითია. ამის შესახებ ღიად თქვა კობახიძემ თავის დროზე — ეს მოსამართლეები, როდესაც „ნაციონალებს“ ემსახურებოდნენ, ცუდები იყვნენ, ახლა, როდესაც ჩვენ გვემსახურებიან, კარგები გახდნენ! ამიტომ, წარმოუდგენელია მოსამართლეების დანიშვნის შეჩერებამ ამ პროცესს უშველოს. ამით არაფერი არ შეიცვლება.

***— რაში გამოსავალი?***



— ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ სახელმწიფომ, საზოგადოებამ აღიაროს, რომ ეს არის გლობალური პრობლემა და უნდა შევცვალოთ მართლმსაჯულების სისტემა და უნდა შევთანხმდეთ ცვლილების ფორმაზე.

თუ პირდაპირ ვიტყვით, ან იცვლება სასამართლო სისტემა, ან ხელისუფლება ცხადდება რეჟიმად და ამ პროცესში საერთაშორისო პარტნიორები დაგვეხმარებიან, მოხდება კონსტიტუციური ცვლილებები, ეს იქნება რეალური რეფორმა, მაგრამ ხომ ვიცით, რომ პარლამენტში შესული დეპუტატები ამას ძნელად გააკეთებენ. ამაზე არც ხელისუფლება წავა და არც პარლამენტში შესული ოპოზიცია.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ პოლიტიკური პროცესის ნაწილია. პარლამენტში შესულმა ოპოზიციამ აღიარა, რომ არჩევნები არ გაყალბებულა, ამდენად, რთულად წარმოსადგენია სასამართლო სისტემის გლობალური რეფორმის ინიცირება მათგან.

საკუთარი თვალით ვხედავდი პარლამენტში, კლანი როგორ შემოუთვლიდა მერვე მოწვევის პარლამენტს რაღაცას, რომელიც უნდა შეცვლილიყო. მეცხრე მოწვევის პარლამენტში სასამართლო კლანი პარლამენტში უკვე პირდაპირ იყო წარმოდგენილი. კლანს უკვე ზარდიაშვილი წარმოადგენდა პარლამენტში. ზარდიაშვილის შემდეგ ეს ფუნქცია ანრი ოხანაშვილმა გადაიბარა. ეკა ბესელია ამიტომ გაუშვეს იურიდიული კომიტეტიდან. ხომ გახსოვთ, მთელი პროცესი იყო. ეკა ბესელიას პირობა იყო, რომ ზარდიაშვილი უნდა წასულიყო. მერე მე ამირჩიეს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარედ, რასაც ბიძინა ივანიშვილის პირადი ჩარევა მოჰყვა და მე კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გამომიწვიეს ფრაქციის სახელით სამ დღეში. კარგად მახსოვს, 2 იანვარს პირადად ბიძინა ივანიშვილისგან, თურმე როგორ გავბედეთ ეს ყველაფერი. მაშინ ჩვენ შევძელით ამ პროცესისთვის დროებით შეგვეშალა ხელი.

***— ახლა კულმინაციაა?***

— დიახ. მაშინ ივანიშვილი პირადად ჩაერია ამ პროცესში ძალიან აქტიურად. ამიტომ, ყველაფერი გასაგებია. მორალი, სტანდარტი ამ თვალსაზრისით გამქრალია, აღარ არსებობს. შეიძლება რაღაცის იმიტაცია შექმნას „ქართულმა ოცნებამ“, მაგრამ მხოლოდ იმიტაცია იქნება. „ქართული ოცნება“ არც არჩევნების დათმობას არ აპირებს და არც მოსამართლეების. იმედი აქვთ, ნაციონალების დემონიზაციით, რომ ხალხს ისინი აღარ უნდა კვლავ იხილოს სათავეში, მივლენ საარჩევნო ყუთებთან და მაინც მათ მისცემენ ხმას. ამაზეა ჩამოკიდებული „ოცნების“ მთელი იდეოლოგია.

**„სანამ ჯიბის მოსამართლეები იქნებიან, ვერც ერთ საარჩევნო დავას ოპოზიცია ვერ მოიგებს“**

***— კიდევ იმუშავებს?***

— ჯერ მუშაობს. თუმცა, როგორც ვიცი, გახარიას ფაქტორის ძალიან ეშინიათ. ვნახოთ. ამიტომ არის, რომ მოსამართლეების თემა პირდაპირ კავშირშია არჩევნებთან. სანამ პოლიტიზირებული იქნება სისტემა, სანამ ჯიბის მოსამართლეები იქნებიან, ვერც ერთ საარჩევნო დავას ოპოზიცია ვერ მოიგებს. ამდენად, არჩევნები გაყალბდა თუ არ გაყალბდა, მხოლოდ რწმენის დონეზე იქნება.

# ნდობის ჯგუფში ოპოზიციის კვოტით მამუკა ხაზარაძე შევა

ნდობის ჯგუფში ოპოზიციის კვოტით მამუკა ხაზარაძე შევა. ხაზარაძე ნდობის ჯგუფში გასაწევრიანებლად ფრაქცია „ლელო — პარტნიორობა საქართველოსთვის“ წარადგინა.

ნდობის ჯგუფი 5 წევრისგან შედგება, რომელთაგან 1 არის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, 2 — საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი ფრაქციის წევრი, 2 — საპარლამენტო ოპოზიციაში შემავალი ფრაქციების წევრი.

# არჩილ თალაკვაძე: „ნაცმოძრაობამ არც ომი იცის და არც მშვიდობა“

— მართლა არ მეგონა, თუ „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც არც ომი იცის და არც მშვიდობა, აგვისტოს ომზე დაიწყებდა ლაპარაკს.

ამის შესახებ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა არჩილ თალაკვაძემ გუშინ, 22 ივნისს, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას“ არანაირი პასუხი არ გააჩნია კოდორთან და ახალგორთან დაკავშირებით.

— მათ არანაირი პასუხი არ გააჩნიათ, რატომ არ გაკეთდა მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია და საქართველო-რუსეთის საქმეზე წლების განმავლობაში რატომ ვერ შეაგროვეს მტკიცებულებები, რაც შემდეგ თეა წულუკიანმა და მისმა სამინისტრომ მიიყვანა ბოლომდე საქართველოს გამარჯვებით.

თქვენ მოაწერეთ ხელი რეზოლუციას, სადაც წერია, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს საქართველოს სამხედრო ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვის გაუფრთხილებლად დაწყებით ესკალაცია ღია, სრულმასშტაბიან საომარ მოქმედებებზე გადავიდა და კასეტური ბომბების გამოყენება წარმოადგენდა სამხედრო ძალის არაპროპორციულ გამოყენებას საქართველოს მხრიდან. თქვენი საკუთარი ქვეყანა ევროპაში დაადანაშაულეთ ომის დაწყებასა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვაში, რა თავს იმართლებთ და რა გაქვთ თავის სამართლებელი? ბოდიში მოიხადეთ და დაანებეთ თავი ამ თემას, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.



# „ბრალდებები მას შემდეგ გააქტიურდა, რაც ჩვენ პოლიტიკურად გავაქტიურდით“

## გიგი ხოჯევანიშვილმა ყოფილ თანაგუნდელებს მიმართა

პარტია „საქართველოსთვის“ პოლიტსაბჭოს წევრმა გიგი ხოჯევანიშვილმა პარლამენტში გამოსვლისას ყოფილი თანაგუნდელების მიერ გახარიას გუნდის მიმართ ბრალდებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ პარტიის მომხრეების რაოდენობის ზრდის პარალელურად ბრალდებები და თავდასხმები იზრდება.



— სამწუხაროდ, ჭორაობის ტენდენცია და აბსოლუტურად უსაფუძვლო ბრალდებების ტალღის გამოშვება ჩვენდამი მას შემდეგ გააქტიურდა, რაც ჩვენ პოლიტიკურად გავაქტიურდით — მას შემდეგ, რაც თქვენთვის უფრო სანერვიულო გახდა ის ფაქტორი, რომ დღითიდღე იზრდება ჩვენი მომხრეების რაოდენობა, ჩვენ გავიშალეთ რეგიონებში, ვიწყებთ რეგიონული ოფისების გახსნას და ამის პირდაპირპროპორციულად ახალ და ახალ უსაფუძვლო, მოგონილ ბრალდებებს ვისმენთ ჩვენი გუნდის მიმართ.

რა თქმა უნდა, ქართულ საზოგადოებას აქვს პასუხი იმაზე, რომ ეს არის უბრალოდ ტალახის სროლის პროცესი და ამ ყველაფერზე ჩვენ ვუპასუხებთ საქმით. ამაზე პასუხი არის ის შეხვედრები, რომელთაც ჩვენი გუნდის ლიდერი გიორგი გახარია მართავს ბრიუსელში, ვაშინგტონში — ეს ცხადყოფს ახალი პოლიტიკური ძალის, „საქართველოსთვის“ პარტიისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან.

ამ მაღალი დონის შეხვედრებზე გიორგი გახარიას მხრიდან ხდება ზეპარტიული და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების დაყენება, როგორიც არის ოკუპაცია, საქართველოს ნატოში და ევროკავშირში სრული ინტეგრაცია და ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებზე საუბარი, განსაკუთრებით — რეგიონში არსებული დაძაბული ვითარების პარალელურად, — განაცხადა გიგი ხოჯევანიშვილმა.



# გუბაზ სანიკიძე: „ქართულ სახელმწიფოს სჭირდება თვითმმართველობა და სასამართლო“

— ქართულ სახელმწიფოს სჭირდება ორი სვეტი, რომელსაც დაეყრდნობა სამუდამოდ. ყველა პოლიტიკური ძალა, ვინც მოვა ხელისუფლებაში, ვინც წავა ხელისუფლებიდან, ამაზე უნდა ვიყოთ მოწადინებულები, სახელმწიფოს ორ მთავარ სვეტზე, ეს არის თვითმმართველობა და ეს არის სასამართლო!

ამის შესახებ ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ წევრმა გუბაზ სანიკიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

მისივე განმარტებით, თუ ეს მოხერხდება, ქართულ სახელმწიფოს ექნება ძალიან მაღალი იმუნიტეტი, რომ გაუძლოს ნებისმიერ რყევას ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთაც. სანიკიძის თქმით, საქართველო უნდა იყოს მედროშე, მოწინავე ამ საქმეში.

დეპუტატმა გამოსვლისას საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, ასევე მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაზე გაამახვილა ყურადღება.

— საქართველო უნდა იყოს პოზიტიური ნეიტრალიტეტის მედროშე კავკასიაში, — განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

# პროცესი აუცილებლად უნდა დაპაუზდეს

## დეგნანი მოსამართლეთა დანიშვნაზე



საქართველოში ამერიკის ელჩი, კელი დეგნანი მოსამართლეთა დანიშვნის პროცესს კიდევ ერთხელ გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ პარტიებს შორის 19 აპრილის შეთანხმების მიხედვით მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი რეფორმების გატარებამდე უნდა შეჩერდეს.

— ჩემს მოწოდებებზე მნიშვნელოვანი არის ის ვალდებულებები, რომლებიც პოლიტიკურმა ლიდერებმა აიღეს, როდესაც მოილაპარაკეს და ხელი მოაწერეს 19 აპრილის შეთანხმებაზე. ეს შეთანხმება კი გულისხმობს, რომ მოსამართლეების დანიშვნის პროცესი შეწყდება, სანამ რეფორმები არ გატარდება. ხოლო ვიდრე რეფორმები გატარდება, მათ ასევე, მოილაპარაკეს, რომ იქნებოდა დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორი სასამართლო სისტემაა საჭირო ქვეყნისთვის. ჩვენც სწორედ ამას ველით, შეთანხმება შეთანხმებაა და პროცესი აუცილებლად უნდა დაპაუზდეს, ვიდრე სასამართლო რეფორმაზე დებატები არ გაიმართება, — თქვა კელი დეგნანმა.

მისი განცხადებით, პარლამენტს აქვს ვალდებულება, შეაჩეროს დანიშვნები, გაიმართოს დებატები და შეფასდეს გატარებული რეფორმები.




**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# „ნაციონალებმა საკუთარი რეიტინგი სულ გაინადგურეს“

## სოსო შატბერაშვილი: „პარლამენტში უპრინციპო, უპირო ოპოზიცია შევიდა, არც არჩევნების გაყალბება აღელვებს და არც ცესკოს თავმჯდომარე“

მარიამ მჭედლიშვილი

**რატომ აღარ აინტერესებს გაერთიანებულ ოპოზიციას გაყალბებული არჩევნების გამოძიება და რიგგარეშე არჩევნები? რაშია მხილებული მიხეილ სააკაშვილი? რა მდგომარეობაშია მმართველი პარტია? რატომ არ აქვს შანსი გიორგი ვაშაძეს მონაწილეობდეს მესამე ცენტრის ჩამოყალიბებაში? რით ჰყავს პოლიტიკური მოვლენები შაპიტოს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.**

***— „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე კიდევ ერთხელ მოუწოდებს ე.წ. ყოფილ გაერთიანებულ ოპოზიციას, მოუხადოს ბოდიში ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიას იმის გამო, რომ მას 2020 წლის არჩევნების გაყალბებას აბრალებდნენ. სინამდვილეში, ამ ოპოზიციას არჩევნების გაყალბება ნაკლებად ახსენდება. თამარ ჟვანიაც მაშინ გაიხსენეს, როცა ის პარლამენტში მივიდა.***

— რამდენიმე თვის წინ, ამ ოპოზიციას წიოკი ჰქონდა ატეხილი. ეს პოლიტიკოსები გაჰყვიროდნენ, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა, უარს ამბობდნენ სადეპუტატო მანდატებზე, მოითხოვდნენ თამარ ჟვანიას არა მარტო გადადგომას, არამედ, მის სისხლის სამართალში მიცემას. ახლა სხვა მდგომარეობაა. „ფანჩატურის“ ოპოზიციას თავისი მოთხოვნები დაავიწყდა. ირაკლი კობახიძის განცხადება კი ემსახურება ქულების მოპოვებას ამ თემით. დაშლილ ოპოზიციურ ერთობას აღარც თამარ ჟვანიას გადადგომა უნდა და აღარც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. პარლამენტში შესვლით მათ აღიარეს მოქმედი პარლამენტის ლეგიტიმურობა. თუ ოპოზიციას აქვს გაყალბების დამამტკიცებელი მასალები, წარმოადგინოს!

***— პარლამენტის საგამოძიებო კომისიაში?***

— ცხადია. ამ პოლიტიკოსებს ესეც არ უნდათ. ხან რას იმიზეზებენ, ხან – რას. ამბობენ, რომ დაგვიანდა, რომ დოკუმენტაციას არ ფლობენ. სანამ გავხდებოდი საარჩევნო სუბიექტი, ვიყავი საარჩევნო კომისიებში. კარგად ვიცი, რომ ყველა კომისიის ყველა წევრს ურიგდება ოქმები. ეს ოქმები მიდის პარტიების ოფისებში. სინამდვილე ისაა, რომ არჩევნებში არ მოუგია ნაცმოძრაობას და გაერთიანებულ ოპოზიციას. ხალხმა ეს იცის. ოპოზიცია სხვა ტალღაზე გადაერთო. „ფანჩატურის“ ოპოზიციონერები იღებენ მაღალ ხელფასებს. შემოდგომაზე საპარლამენტო თანამდებობებს გადაინაწილებენ. ეს ოპოზიცია, ალბათ, ასევე მოითხოვს პოსტებს აღმასრულებელ ხელისუფლებაში. მინიმუმ, დეპარტამენტების ხელმძღვანელების ადგილებს საკუთარი აქტივისტებისთვის. ამ ოპოზიციას სხვა გეგმები ჰქონდა. მათი რევანშისტული ზრახვებისთვის აუცილებელი იყო ხალხის დიდი რაოდენობა. ფაქტია, რომ ამ ოპოზიციას საზოგადოება არ აჰყვა.




***— გაზაფხულზე ნავარაუდევი იყო დაქირავებულების გამოყვანა.***

— შესაძლებელია. ამან გამახსენა 2003 წელი. იმდროინდელი პარლამენტის წევრი ვიყავი. სააკაშვილის მომხრეების გარდა, დედაქალაქის ცენტრში იდგნენ ასლან აბაშიძის მომხრეები. რევოლუციური პიკის დროს შეგროვდა დაახლოებით 200.000 კაცი. მათ შორის იყვნენ დაქირავებულები. სააკაშვილი-ბურჯანაძე-ჟვანია თავიდან შევარდნაძის გადადგომას არ მოითხოვდნენ. მათ უნდოდათ ხელახალი არჩევნები. იგორ ივანოვის ჩამოსვლამ საქართველოში დაამტკიცა, რომ შევარდნაძის, ასევე აბაშიძის გაშვება აწყობდა რუსეთს. მისივე ინტერესში იყო ამ სამეულის მოყვანა. რამდენიმე წლის წინ, იგორ გიორგაძემ ისაუბრა სააკაშვილის ოჯახზე. სააკაშვილი მსახურობდა საბჭოთა სასაზღვრო ჯარში, რომელიც „კგბ“-ს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. მოგვიანებით სააკაშვილი ამერიკასაც შეეკრა. მისი ორმაგი თამაში რუსეთშიც გაშიფრეს და აშშ-შიც. სააკაშვილი საქართველოს მოსახლეობამაც გაიცნო თავისი შეუსრულებელი დაპირებებით. რას არ ჰპირდებოდა მოსახლეობას – საბჭოთა ანაბრების დაბრუნებას, საწარმოების დაბრუნებას და აღდგენას, ათასი საწარმოს ამუშავებას. ეს ადრე იყო. მომდევნო წლებში, მის დროს საქართველო სამად გაიყო და კიდევ ბევრი საშინელება დატრიალდა.



***— ნაცმოძრაობას ამომრჩეველი მაინც ჰყავდა. როგორ იმოქმედა ამ პარტიის ამომრჩევლებზე ბოლოდროინდელმა მოვლენებმა?***

— ძალიან ცუდად თვითონ ამ პარტიისათვის. ნაციონალებმა საკუთარი რეიტინგი სულ გაინადგურეს. ამომრჩეველს ეუბნებოდნენ, რომ ბოლომდე იბრძოლებდნენ. რაც თქვეს, იმის საპირისპირო გააკეთეს. გამოავლინეს უპირობა და უპრინციპობა. ენდია-ის მონაცემებითაც კი, ნაცმოძრაობას 5%-იანი რეიტინგი დაუფიქსირდა. თავისი ტყუილებით ნაცმოძრაობა თვითონ დაზარალდა. ქვეყნისთვის კი უკეთესია, რომ ბარიერგადალახულები პარლამენტში მუშაობენ. პარლამენტში არშესვლა არ არის სწორი გადაწყვეტილება. ასეთი შეცდომა სხვებთან ერთად 2008 წელს პირადად მაქვს დაშვებული, როცა სააკაშვილის ოპოზიციაში ვიყავი.

***— სხვა ძალებზე რას იტყვით? პოლიტიკური ველი ცარიელი ვერ დარჩება?***

— რასაკვირველია. ისევ უნდა გავიხსენო ბიძინა ივანიშვილის სიტყვები მომავალში ახალი ჯანსაღი ძალის გამოჩენის შესახებ. ამით მან, ფაქტობრივად, აღიარა, რომ „ქართული ოცნება“ ჯანსაღი ძალა არ არის. ჩემი აზრით, მმართველ პარტიას ჰყავს რეიტინგული ფიგურები – კალაძე, ღარიბაშვილი. ამასთან, ჰყავს ისეთი პოლიტიკოსებიც, რომელიც ხალხს პარტიის წინააღმდეგ განაწყობენ. ჩემი ვარაუდით, ივანიშვილის მიერ ნახსენები ჯანსაღი ძალა 2024 წლის პარლამენტის არჩევნების წინ გამოჩნდება. „ოცნება“ მესამე წრეზე მიდის. არა მგონია, მეოთხე ვადითაც დარჩეს.

***— ხშირად ახსენებენ ე.წ. მესამე პოლიტიკურ ცენტრს. ყველაზე ხშირად ბოლო დროს ამაზე გიორგი ვაშაძე საუბრობს.***

— გიორგი ვაშაძეს ვანო ჩხარტიშვილის „ფულები“ ალაპარაკებს. განა რამხელა რეიტინგი აქვს, რომ ასეთი ამბიციურია?! მაშინ რატომ არ ფიქრობდა ხალხზე, როცა სააკაშვილისგან ჯილდოს იღებდა?! ჩვეულებრივ პირობებში რომ დაეჯილდოებინათ, ხმას არ ამოვიღებდი. ეს მოხდა ხალხის სისხლით მორწყულ რუსთაველზე, 2011 წლის 26 მაისს. შეეძლო იქ არ მისულიყო. ან ჯილდოზე უარი ეთქვა. გიორგი ვაშაძემ მოახერხა გაერთიანება თაკო ჩარკვიანთან. ამ ორმა პოლიტიკოსმა ბოლომდე ვერ გამონახა საერთო ენა. ისინი პარლამენტში შესვლის გამო დაერივნენ ერთმანეთს. ბოლოს პარლამენტში ორივე შევიდა. ამიტომ დავარქვით ასეთ პოლიტიკურ პროცესებს ცირკი შაპიტო. ცირკია, აბა რა არის!

***— 2024 წლამდე არ გაუჭირდება მიღწევა „ოცნებას“?***

— როგორ არ გაუჭირდება. პირველი პრობლემები ამ პარტიას ჯერ კიდევ 2014-15 წლებში შეექმნა, როცა ვერ შეასრულა ხალხისთვის მიცემული დაპირებები. თუ „ოცნებას“ მთავარ კონკურენტად ისევ ნაციონალური მოძრაობა ეყოლება, მაშინ ის გაიხანგრძლივებს არსებობას. ჯანსაღი პარტიები ქვეყანაში არიან, მაგრამ მათ აქვთ დაფინანსების პრობლემა. ჩვენი „მემარცხენე ალიანსიც“ ჯანსაღი ძალაა. პრინციპებისთვის არ გვიღალატია. იმედია, რომ გამოჩნდება სპონსორი, რომელიც მყარი შეხედულებების პარტიებს დააფინანსებს და გააერთიანებს.

# პარტია, რომელიც მანდატებზე უარს იტყვის, ბიუჯეტიდან დაფინანსებას დაკარგავს

პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა საკანონმდებლო პაკეტი, რომლის მიხედვით, პარტია, რომელიც მანდატებზე უარს იტყვის, ბიუჯეტიდან მისაღებ დაფინანსებას კარგავს. ასეთი პარტია ვერც უფასო საეთერო დროს მიიღებს.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების პროექტი მესამე მოსმენით 79-ხმით, 22-ის წინააღმდეგი დაამტკიცეს.

აღსანიშნავია, რომ კანონში შესატანი ნორმა საბოლოო მოსმენით შეცვლილი ფორმულირებით მიიღეს. ის ასეთი სახით დაამტკიცეს: „პარტია კარგავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლებას, თუ ამ პარტიის წარდგენით არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთა ნახევარს ან ნახევარზე მეტს ვადამდე შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება და შეუძლებელია მისი/მათი ადგილმონაცვლე იმდენი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობა, რომ აღნიშნული პარტიის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობა იმავე პარტიის მიერ მიღებული პარლამენტის წევრთა მანდატების ნახევარზე მეტი იყოს. ამ გარემოების წარმოშობის შემთხვევაში, პარტიას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება შეუწყდება მომდევნო კალენდარული თვის პირველი დღიდან“.

ამასთან, პარტია მომდევნო 6 კალენდარული თვის საბიუჯეტო დაფინანსებას ვერ მიიღებს, თუ მისი წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტი პარლამენტის მორიგი სესიის განმავლობაში, არასაპატიო მიზეზით პლენარული სხდომების ნახევარზე მეტს არ დაესწრება. ასეთი გარემოების წარმოშობის შემთხვევაში, პარტიას სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება მომდევნო კალენდარული თვის პირველი დღიდან შეუჩერდება.

ამავე პროექტის გათვალისწინებით, პოლიტიკურ პარტიას, რომელმაც პარლამენტის 2020 წლის არჩევნების საფუძველზე მოპოვებული საბიუჯეტო დაფინანსება დაკარგა, კანონის ამოქმედებისთანავე დაფინანსება აღუდგება. ასეთ პარტიას



ის თანხაც მიეცემა, რომელსაც ის მიიღებდა, დაფინანსება რომ არ დაეკარგა.

საკანონმდებლო პაკეტი ფრაქცია „ქართული ოცნების“ ინიციატივაა, რომელიც პარლამენტს გასული წლის დეკემბერში წარედგინა.

კანონი ამოქმედების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 1 თებერვალი.

# კოჯორში ბერიას ყოფილი რეზიდენცია 2,5 მილიონ ლარად იბეროტელმა იყიდა

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ პრივატიზაციის პროცესის მორიგი ეტაპი დაასრულა, რომლის ფარგლებშიც კოჯორში მდებარე ლავრენტი ბერიას ყოფილი რეზიდენცია 2,5 მილიონ ლარად გასხვისდა.



ბერიას რეზიდენციის ახალი მფლობელია სს „იბეროტელი“, რომელმაც 22.560 კვადრატულ მეტრზე გადაჭიმული ტერიტორია 2 მილიონ 504 ათას ლარად იყიდა.

„იბეროტელი“ ბიზნესმენ ზურაბ ციხისთავს ეკუთვნის. მისი თქმით, ამ ეტაპზე კულტურის სამინისტროსთან ათანხმებს რეზიდენციის რესტავრაციის გეგმას, მომდევნო ნაბიჯი კი იქნება ტერიტორიაზე ელიტური სასტუმროს მშენებლობა.

ბერიას რეზიდენცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შეტანილი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ლავრენტი ბერიას რეზიდენცია თითქმის განადგურდა, მაგრამ შენობა კვლავ იმსახურებს ყურადღებას საოცარი ფერებისა და ქართული არქიტექტურისთვის არადამახასიათებელი სტრუქტურული წყობის გამო.

მე-20 საუკუნის 40-იან წლებში, როცა საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი იყო, ლავრენტი ბერია კოჯრის რეზიდენციას ხშირად სტუმრობდა. საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობის პერიოდში კი ის მოსკოვში გადავიდა და ზაფხულს აფხაზეთში, იმ აგარაკზე ატარებდა, სადაც დაიბადა და გაიზარდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბერიას რეზიდენცია შსს-ს ბალანსზე ირიცხებოდა, 15 წლის წინ ის ფაქტიურად მთლიანად დაიწვა. ტურისტებმა შენობაში ცეცხლი დაანთეს. შენობას აღარ გააჩნია მინები, დეკორატიული იატაკი, სახურავიც ჩამონგრეულია.

წინასწარი გათვლებით, ახალ მფლობელს შენობის ელიტურ სასტუმროდ გადაქცევა 4-5 მილიონი ლარი დაუჯდება.

# დეპუტატისთვის იმუნიტეტის მოხსნას სრული შემადგენლობის 3/5 დასჭირდება

პარლამენტმა 98-ხმით, ერთხმად, პარლამენტის წევრის იმუნიტეტის მოხსნასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივა მიიღო.

რეგლამენტში დაგეგმილი ცვლილებების პროექტი პირველი მოსმენით განიხილეს და მხარი დაუჭირეს. ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით, დეპუტატის დაკავება ან დაპატიმრებაზე, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირად ჩხრეკაზე თანხმობის მიცემას პარლამენტის სრული შემადგენლობის 3/5 – არანაკლებ 90 ხმა დასჭირდება.

რეგლამენტში ცვლილებები პოლიტიკური პარტიების მიერ 2021 წლის 19 აპრილს ხელმოწერილი შეთანხმებიდან გამომდინარეობს, რომლის თანახმად, „პარლამენტმა რეაგირება უნდა მოახდინოს პოლიტიზებულ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე კანონმდებლობის საშუალებით და (საჭიროების შემთხვევაში) შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები რეგლამენტში, რომ პარლამენტის წევრის სადეპუტატო იმუნიტეტის მოსახსნელად საჭირო იყოს უბრალო უმრავლესობაზე მეტი ხმა“.

# პური 7 თეთრით ძვირდება



პურის ფასი კიდევ 7 თეთრით მოიმატებს – ხელისუფლება სუბსიდირების პროგრამის გაგრძელებას 1 ივლისიდან აღარ აპირებს, რაც პურის ფასზე აისახება და ღირებულებას 5-დან 7 თეთრამდე გააძვირებს.

მმართველი გუნდის გადაწყვეტილება, შესაძლოა, საბოლოო განაჩენი აღმოჩნდეს სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობისთვის, ვისთვისაც პური ხშირად ერთადერთი საკვებია.

# ნაზი ჯანეზაშვილი: „თუ სასამართლოში დარჩენილი ვაკანსიები შეივსო, რეფორმას აზრი აღარ ექნება“

— ხომ ვსაუბრობთ ნეპოტიზმზე? არიან ნათესავები და ა.შ. ამას ემატება ის, რომ თუ არ არიან ნათესავები, უკვე ნათელმირონობით უკავშირდებიან ერთმანეთს.

ამის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილმა არამოსამართლე წევრმა ნაზი ჯანეზაშვილმა ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „ნიუსრუმში“ განაცხადა, რითაც სასამართლო სისტემაში არსებული ე.წ. კლანური მმართველობა აღწერა.

მისივე თქმით, დღევანდელ საქართველოში შესაძლებელია საბჭოს არამოსამართლე წევრმა თავისი შვილი მოსამართლის თანამდებობაზე დანიშნოს, რაც სრული კოშმარია.

— რთულია ძალიან, როცა ყოველი შენი ნაბიჯი კონტროლდება. აბსოლუტურად ყველა ჩემი ნაბიჯი კონტროლდებოდა. ერთადერთი მაგალითი რომ ავიღოთ, დღევანდელ საქართველოში შესაძლებელია საბჭოს არამოსამართლე წევრმა თავისი შვილი დაანიშნინოს მოსამართლის თანამდებობაზე და ესაა კოშმარი. ამ შემთხვევაში მთელ იმ ფაქტებს, რაც მის დანიშვნას უძღოდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. შვილს სასამართლოში არასდროს უმუშავია და მე გასაუბრებაზე ვკითხე, ინტერესი ჰქონდა, თუ არა როდესმე სასამართლოში შემოსვლის. მან თქვა, რომ არა! 2018 წელს საბჭოს წევრი ჩვენ გავხდით ერთად. პარლამენტმა აირჩია გზირიშვილიც და შემდეგ, 2018 წელს ჯერ შვილი მოიყვანა სასამართლოში მუშაობის დასაწყებად და ეს „კლანური გავლენები“ გამოიყენა.

ხომ ვსაუბრობთ ნეპოტიზმზე? არიან ნათესავები, ვილაც ცოლისძმა და ა.შ. თუ არ არიან ნათესავები, ამას ემატება, რომ უკვე ნათელმირონობით უკავშირდებიან ერთმანეთს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ სისტემა შეიცვლება. ვფიქრობ, ამას კომპლექსური მიდგომა დასჭირდება. არ უნდა გავჩერდეთ, რომ სასამართლო უკეთესი გახდეს, — განაცხადა ჯანეზაშვილმა.



ჯანეზაშვილის თქმით, ხელისუფლების მხრიდან გაკეთებული განცხადებები, რომ საკანონმდებლო ცვლილებები უკვე განხორციელდა, სიცრუეა.

— გვესმის ხელისუფლების მხრიდან, რომ საკანონმდებლო ცვლილებები უკვე განხორციელდა და ამის საჭიროება არ არის. მე მინდა, ხალხს განვუმარტო — ეს სიცრუეა! ყველგან ვხვდებით ორმაგ სტანდარტებს. ხელისუფლებას შეცდომაში შეჰყავს ხალხი, თითქოს ყველაფერი გაკეთდა, — განაცხადა მან.

მისივე თქმით, მომავალი ათწლეულების განმავლობაში სასამართლო სისტემაში რეფორმაც რომ ჩატარდეს, აზრი არ ექნება.

— ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, რადგან ძირითადად მათ ხელშია ძალაუფლება. გარდა იმისა, რომ კანონებია შესაცვლელი, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 14 წევრი უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის დეკემბერში უვადოდ აირჩია, მათგან ერთ-ერთი 2053 წლამდეა დანიშნული. ახლა ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი მიდის. 9 ვაკანსიაც დაემატება და თუ ეს შეივსო, ერთეული ვაკანსიები იქნება მხოლოდ დარჩენილი და მომავალი ათწლეულების განმავლობაში ჩვენ რეფორმაც რომ ჩავატაროთ, აზრი არ ექნება, — განაცხადა ჯანეზაშვილმა.

# ბათუმში დააკავეს 40 წლის ქალი, რომელსაც მოქალაქეების უცხოეთში უკანონოდ დარჩენის ორგანიზება ედება ბრალად



ბათუმში დააკავეს ქალი, 40 წლის ს.კ., რომელსაც ყალბი დოკუმენტების გამოყენება ედება ბრალად.

ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ს.კ. ბათუმში დააკავეს.

მას ბრალი ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებითა და ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით საქართველოს მოქალაქეების უცხო ქვეყანაში წინასწარი შეცნობით უკანონოდ დარჩენის ორგანიზებასა და ხელშეწყობაში ედება.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ს.კ.-მ საქართველოს ერთ-ერთ მოქალაქეს შესაბამისი პირობები შეუქმნა, კერძოდ, ყალბი დოკუმენტების მეშვეობით ორგანიზება გაუწია საზღვარგარეთ მის გამგზავრებას და უკანონოდ დარჩენას.

პოლიციამ ს.კ.-ის საცხოვრებელი ბინისა და სამუშაო ოფისის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო: სხვადასხვა მოქალაქის სახელზე გაცემული ავიაბილეთების ჯავშნები, სასტუმროს ჯავშნები, სამედიცინო კვლევების გაყალბებული შედეგები, რეგისტრაციის ბარათები და საზღვარგარეთ გასამგზავრებლად საჭირო სხვა დოკუმენტები. დაკავებულის ოფისის ჩხრეკისას ასევე ამოღებულია 2.500 ლარამდე თანხა.

ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებით, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, საქართველოს მოქალაქეების უცხო ქვეყანაში წინასწარი შეცნობით უკანონოდ დარჩენის ორგანიზებისა და ხელშეწყობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 344-ე პრიმა-2 მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.“

# 27 წლის თორნიკე კაკაურიძეს ხონში პოლიციელმა სცემა



27 წლის ახალგაზრდის ოჯახი ხონში პოლიციელს თორნიკე კაკაურიძის ცემაში ადანაშაულებს. კაკაურიძის ახლობლების ინფორმაციით, შემთხვევა 21 ივნისს ღამით „კომენდანტის საათის“ დროს მოხდა.

მათი ინფორმაციით, გადაადგილებაზე შეზღუდვა ახალი დაწყებული იყო, როდესაც პოლიციის თანამშრომლებმა კაკაურიძეს შენიშვნა მისცეს, რის შემდეგაც სცემეს.

ოჯახის ინფორმაციით, 27 წლის ახალგაზრდას ტვინის შერყევა და მოტეხილობები აქვს. ის კლინიკაშია გადაყვანილი. თანმხლები პირის ინფორმაციით, კაკაურიძეს პოლიციელისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, მხოლოდ ჰკითხა, რატომ სცემდა, რასაც პოლიციელის გაღიზიანება მოყვა. მეორე პოლიციელი კი სხვებს ცეცხლსასროლი იარაღით აშინებდა, რომ არ დახმარებოდნენ.

ოჯახის მტკიცებით, პოლიციელები არაფხიზელ მდგომარეობაში იყვნენ. ოჯახი სიმართლის დადგენას მოითხოვს.

განსხვავებული პოზიცია აქვს შსს-ს, რომლის განცხადებაშიც ნათქვამია:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით, 1994 წელს დაბადებული თ.კ. ხონში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 21 ივნისს, ხონში, თ.კ. ალკოჰოლური თრობის პირობებში გადაადგილდებოდა და 23:00 სთ-ის შემდეგ გადაადგილების შეზღუდვის წესებს არღვევდა. პოლიციის მიერ შეჩერებულმა თ.კ.-მ სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწია, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მათ, რის შემდეგაც ის დაკავებულ იქნა ბრალდებულის სახით. დაკავების დროს დაზიანებები მიიღო როგორც ბრალდებულმა, ასევე, პოლიციის ერთმა თანამშრომელმა. დაშავებულები მოთავსებული არიან კლინიკაში.

სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით პოლიციელის მიმართ წინააღმდეგობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.“

# სუსმა ნაცმოძრაობის წევრი თამაზ შოშიტაშვილი დააკავა



დაკავებულია „ნაციონალური მოძრაობის“ საბურთალოს ორგანიზაციის ახალგაზრდული ფრთის თავმჯდომარე — 34 წლის თამაზ შოშიტაშვილს ხელბორკილები დედაქალაქის ცენტრში გუშინ, 22 ივნისს, დილის 7:00 საათზე დაადეს.

ახალგაზრდა მამაკაცი სუს-ის თანამშრომლებმა მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

არსებული ინფორმაციით, შოშიტაშვილმა შპს დააფუძნა, სადაც ფიქტიურად აფორმებდა ადამიანებს, რომლებიც სახელმწიფოსგან 200-ლარიან დახმარებას იღებდნენ.

გამოძიების მიხედვით, პანდემიის პირობებში 200-ლარიანი დახმარების მისაღებად ბრალდებულებმა რამდენიმე პირი მოაბილიზეს და ყალბი დოკუმენტები გააფორმეს.

ისინი თაღლითურად 10.200 ლარს დაეუფლნენ.

„კოვიდპანდემიის პირობებში საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული 200-ლარიანი სოციალური დახმარების მოტყუებით მიღებისათვის, ინდ. მეწარმემ და მასთან დაკავშირებულმა პირებმა ორგანიზება გაუწიეს რამდენიმე ათეული პირის მობილიზებას და მათთვის ინდ. მეწარმესთან, 2020 წლის იანვარ-თებერვალში დასაქმების დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტაციის მომზადებას“ — წერია უწყების განცხადებაში.

მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ხსენებული პირები გაცემული 200-ლარიანი დახმარებიდან 100 ლარს ე.წ. „ატკატის“ სახით ართმევდნენ ბენეფიციარებს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს.

სპეცოპერაციის შედეგად სამი პირია დაკავებული.

# დიდ დიღომში სალომე ქაჯაიას „არქი დიღომი 3“-მა სათავსო დაუნგრია



21 ივნისს ხმაური იყო დიდ დიღომში აღმაშენებლის ხეივნის იმ მონაკვეთზე, სადაც კომპანია „არქი დიღომი 3“-მა სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. აქ სპეცტექნიკით ხეები ამოძირკვეს და საპირფარეშო დაანგრიეს.

ადგილობრივი სალომე საჯაია ამბობს, რომ ამის უფლება კომპანიას არ ჰქონდა.

მისი განმარტებით, საქმე სადავოა და დემონტაჟზე სასამართლოს გადაწყვეტილება არ არსებობს. დაზარალებულმა საჩივრით მერიასაც მიმართა. კომპანიის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ ტერიტორია 2004 წლიდან მათ საკუთრებაშია და სამუშაოებს მათ მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე ისევ განაახლებენ.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიციისა და მერიის მუნიციპალური სამსახურის თანამშრომლები.

# ვაკეში მე-5 სართულიდან გადავარდნილი 13 წლის გოგონა კლინიკაში გარდაიცვალა

თბილისში, აბაშიძის ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის მე-5 სართულიდან გადავარდნილი 13 წლის გოგონა საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ხეჩინაშვილის კლინიკაში მის გადარჩენას ექიმები რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდნენ, თუმცა, ეს ვერ მოხერხდა.

დამატებითი დეტალები ამ დროისთვის უცნობია.

# რესტორან რომში ქართველებმა და აზერბაიჯანელებმა იჩხუბეს

ალმაშენებლის ხეივანში, დიდ დიღომთან მდებარე რესტორან „რომში“ ჩხუბი მოხდა.

როგორც დაწესებულების ადმინისტრაციაში აცხადებენ, ჩხუბში მონაწილე პირები ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, სტუმრებს შორის დაპირისპირება კი, სავარაუდოდ, ეთნიკურ ნიადაგზე მოხდა.

ჩხუბი ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის მოხდა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცველები, მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

# შინაგან საქმეთა მინისტრი საქართველოში გაერთიანებული სამეფოს ელჩს შეხვდა



შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, მარკ კლეიტონს, შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ხაზი გაუსვეს შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით მიმდინარე წლის 26-30 ივნისს, ბათუმის პორტში, გაერთიანებული სამეფოს საზღვაო ძალების სამხედრო გამანადგურებელი გემის — „ც შ ეფენდერ“ ვიზიტის მნიშვნელობას.

მარკ კლეიტონის შეფასებით, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში აღნიშნული გემის ვიზიტი საქართველოსა და გაერთიანებული სამეფოს მაღალი დონის წარმომადგენლებს შორის სტრატეგიული დიალოგის დაწყების უნიკალური საშუალებაა.

ვახტანგ გომელაურმა და მარკ კლეიტონმა ასევე განიხილეს საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებული მჭიდრო და ეფექტიანი თანამშრომლობა. ამასთანავე, მხარეებმა სანაპირო დაცვის მიმართულებით ურთიერთობის სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

შეხვედრის დასასრულს, შინაგან საქმეთა მინისტრმა გაერთიანებული სამეფოს ელჩს მადლობა გადაუხადა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში აქტიური მხარდაჭერისთვის.


## განცხადება

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 4 ივლისს, დილის 11 საათზე ქ.თბილისში, მეტრო „ღრმაღელესთან“, 19ა კორპუსთან მდებარე ფეხბურთის სტადიონზე ტარდება ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის დამფუძნებელ წევრთა განმეორებითი საერთო კრება.

**შემდეგი დღის წესრიგით:**

1. ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის თავმჯდომარის არჩევა;
2. ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის გამგეობის არჩევა;
3. ამხანაგობაში არსებული მიმდინარე საკითხების განხილვა.

ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა დასწრება სავალდებულოა.

გთხოვთ იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

# საფრანგეთში ქალმა მოკლა ქმარი, რომელიც მას მეძავად მუშაობას აიძულებდა

საფრანგეთში ყურადღების ცენტრშია სასამართლო პროცესი, სადაც განსასჯელის სკამზე ზის ქალი, რომელმაც მასზე მოძალადე ქმარი მოკლა. მკვლელობა მისივე აღიარებით, 2016 წელს ჩაიდინა, ამჯერად კი ქალის გათავისუფლების პეტიციას ხელი 600.000-მა მოქალაქემ მოაწერა.



ბრალდებული ქალი ვალერია ბაკოტი ამტკიცებს, რომ მის მიერ მოკლული მამაკაცი ქალის მამინაცვალი იყო და მასზე ბავშვობიდან ძალადობდა, შემდეგ კი აიძულა, ცოლად გაჰყოლოდა და 4 შვილი გაეჩინა. ქალის აღიარებით ჩვენებში ასევე წერია, რომ ცხედრის გადამალვა ორი შვილის დახმარებით შეძლო.

ვალერია ბაკოტის ადვოკატების მტკიცებით, მოკლული მამაკაცი მასზე 25 წლის განმავლობაში ძალადობდა. მკვლელობის საბაბად კი საბოლოოდ იქცა შიში, რომ მამაკაცის მსხვერპლი შემდეგ მისი ქალიშვილი იქნებოდა.

ბაკოტის მტკიცებით, მოკლული მასზე 25 წლით უფროსი იყო და ძალადობა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც ის მხოლოდ 12 წლის იყო. ცოლქმრობის პერიოდში კი აიძულებდა, სექსმუშაკად ემუშავა.

ადვოკატის განცხადებით, ძალადობის მსხვერპლი ქალები დაუცველები არიან, სასამართლო ხელისუფლება კი მსგავსი მოძალადე დამნაშავეების მიმართ ზედმეტად რბილია, ამიტომ ასეთი მსხვერპლი ქალები იძულებული ხდებიან, სასოწარკვეთილების დროს თავის გადასარჩენად მკვლელობაც კი ჩაიდინონ.

# ესპანეთის პრემიერმა სანჩესმა კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრე 9 ლიდერი შეიწყალა



ესპანეთის მთავრობამ კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრე სეპარატისტული ჯგუფის 9 დაპატიმრებული ლიდერი შეიწყალა.

აღნიშნული პირები სასჯელს 2017 წელს კატალონიის დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობისათვის იხდიან.

ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა პედრო სანჩესმა აღნიშნული გადაწყვეტილება პოლიტიკური კონფლიქტის მოგვარებისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯად შეაფასა.

ესპანეთის კონსერვატიული ოპოზიციური პარტიები მთავრობის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ სასამართლოს მიმართავენ.

# ისრაელის პოლიციისა და პალესტინელთა შეტაკებისას 20 დემონსტრანტი დაშავდა




ისრაელის პოლიციასა და პალესტინელ დემონსტრანტებს შორის აღმოსავლეთ იერუსალიმის შეიხ ჯარაჰის რაიონში შეტაკება მოხდა.

ისრაელის პოლიციამ მანათობელი ხელყუმბარები და წყლის ჭავლი გამოიყენა. პალესტინის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების ინფორმაციით, შეტაკების შედეგად 20 პალესტინელი დაშავდა. დაკავებულია რამდენიმე პირი.

ისრაელის პოლიციასა და პალესტინელ დემონსტრანტებს შორის შეტაკებამდე დაპირისპირება მოხდა ებრაელებსა და პალესტინელებს შორის. მხარეებმა ერთმანეთს ქვები და სხვა საგნები დაუშინეს.

შეიხ ჯარაჰში ხშირია დაპირისპირება ისრაელის პოლიციასა და იმ პალესტინელებს შორის, რომლებიც ათობით პალესტინელი ოჯახის თავიანთი სახლებიდან გამოსახლების გეგმას აპროტესტებენ.

# თურქეთში მიწისძვრა მოხდა

თურქეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში 5,3 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა.

ეპიცენტრი ეგეოსის ზღვაში, სანაპიროდან 40 კმ-ში დაფიქსირდა. ნგრევის და მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

გასული წლის ოქტომბერში თურქეთის სიდიდით მესამე ქალაქ იზმირში 6,6 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. 115-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა და 1000-ზე მეტი დაშავდა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ილიას ზუროსმა საქართველოს არ უღალატა

ევროპულმა გამოცემებმა გამოაქვეყნეს ინფორმაცია, რომლის თანახმად საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ილიას ზუროსს ესპანეთის უმაღლესი ლიგის ბურგოსი ეპატიჟებოდა, მაგრამ საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ კლუბში წასვლის ნებართვა არ მისცა.




ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი ქართველიშვილმა ისაუბრა, რომელმაც აღნიშნა, რომ ბერძენმა სპეციალისტმა თავად გადაწყვიტა ბურგოსის ხელმძღვანელობისთვის უარის თქმა.

**გიორგი ქართველიშვილი:**

– როდესაც ილიას ზუროსმა ესპანური გუნდისგან წინადადება მიიღო, საქმის კურსში ჩაგვაყენა. უცხოურ საიტებზე გავრცელებული ინფორმაცია, რომ კალათბურთის ფედერაციამ ბურგოსში გადასვლის ნებართვა არ მისცა, სიმართლეს არ შეეფერება. ზუროსს ჩვენთან კონტრაქტის გაწყვეტასა და ესპანეთში გადასვლაზე არც უსაუბრია, თავად გადაწყვიტა ბურგოსისთვის უარის თქმა. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქმისა და საქართველოს ნაკრებისადმი მთავარი მწვრთნელის მიდგომას. ზუროსი ღირსეულად მოიქცა, დაწყებული საქმე შუა გზაზე არ მიატოვა მიუხედავად იმისა, რომ ბურგოსში გაცილებით მაღალ ანაზღაურებას მიიღებდა.

აქ ჩნდება ლოგიკური შეკითხვა – არ შეეძლო ერთდროულად ემუშავა როგორც ბურგოსში, ასევე საქართველოს ნაკრებში? კალათბურთში მსგავსი პრეცედენტი დაშვებულია, საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვიც პარალელურად მოღვაწეობს თურქულ ფენერბაჰჩესა და სერბეთის ნაკრებში. თუმცა, სხვა ვითარებაა პირენეებზე – ესპანეთის ლიგის წესების თანახმად, უმაღლესი ლიგის კლუბში მოღვაწე მწვრთნელს ნაკრებში მუშაობის უფლება არ აქვს.

შედეგად, ზუროსს ბურგოსელების წინადადება რომ მიეღო, საქართველოს ნაკრებზე უარი უნდა ეთქვა. ეს კი საქმის შუა გზაზე მიტოვებას ნიშნავდა. შეგახსენებთ, რომ ბერძენმა მწვრთნელმა ჩვენი ეროვნული გუნდი 2016 წელს ჩაიბარა და ევრობასკეტი 2017-ის შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე გაიყვანა.

2017 წელს ზუროსმა ხელახალი კონტრაქტის გაფორმებისას თქვა – საქართველო ჩემი მეორე სამშობლოაო და დასძინა, რომ მისი ამოცანა მომავალი ევრობასკეტისთვის საქართველოს ნაკრების უმაღლეს დონეზე მომზადება იქნებოდა. მომავალი ევრობასკეტი კი, თავდაპირველად 2021 წელს ჩაინიშნა, მაგრამ კორონავირუსის პანდემიის გამო 2022 წლისთვის გადაიდო. შეგახსენებთ, რომ ერთ ჯგუფს საქართველო უმასპინძლებს. სწორედ საქართველოში ღირსეულად გამოსასვლელად ემზადება როგორც ნაკრების თითოეული წევრი, ასევე მთავარი მწვრთნელი.

გარდა ამისა, სანაკრებო პაუზების გარდა, ზუროსი ყოველ ზაფხულს ჩამოდის საქართველოში და უახლოეს რეზერვს საქმეში ცდის. წლეულს მისი თბილისში ვიზიტი 18 ივლისს იგეგმება, 20 ივლისიდან კი, საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ისეთ ქვეყნებს უმასპინძლებს, როგორებიც არიან საფრანგეთი, გერმანია, თურქეთი, ბულგარეთი და ბელგია. ზუროსი მატჩებზე დაკვირვების პარალელურად ნაკრების საქართველოში მყოფი წევრებისა და ახალგაზრდებისთვის საზაფხულო კემპს მოაწყობს.

# ქართველმა ამერიკელებმა კლუბები შეიცვალეს

კონერ ფრენკამპი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა და მწვრთნელის, ილიას ზუროსის გადაწყვეტილების შემთხვევაში, ჩვენს ეროვნულ ნაკრებში თამაში შეუძლია, კარიერას ევროლიგაში გააგრძელებს. ამერიკელ უკანახაზელთან კონტრაქტი სანკტ-პეტერბურგის ზენიტმა გააფორმა.

რუსული კლუბი ევროლიგის წევრია, რომელიც ბოლო წლებში განსაკუთრებით მოძლიერდა და გასულ სეზონში ოთხთა ფინალამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა. გზა მომავალმა ჩემპიონმა ბარსელონამ გადაუღობა, რომელმაც დიდ ბრძოლაში, 5 მატჩის ჯამში, მეოთხედფინალური სერია 3:2 მოუგო ზენიტს.

ფრენკამპს საქართველოს ნაკრებში ერთი, არასრული მატჩი აქვს ჩატარებული. მიმდინარე წლის 19 თებერვალს, თბილისში, სერბეთის წინააღმდეგ კონერის დებიუტი შედგა, რომელმაც მოედანზე 20 წუთი დაჰყო და 10 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ამერიკელმა კალათბურთელმა თამაშისას ტრავმა მიიღო, მოედანი დატოვა და ფორმის აღდგენა მხოლოდ მაისის შუა პერიოდში მოახერხა.

ფრენკამპის ყოფილმა გუნდმა, ესპანურმა მურსიამ მისი შემცვლელი მალევე იპოვა და ის სან პაბლო ბურგოსის ვეტერანი უკანახაზელი, ასევე საქართველოს ნაკრების აწ უკვე სტაჟიანი წევრი, თად მაკფადენია.

34 წლის უკანახაზელს საკმაოდ კარგი სეზონი (საშუალოდ 13.6 ქულა, 2.2 პასი, 1.4 მოხსნა) ჰქონდა და ბურგოსელებმა ახალი კონტრაქტიც შესთავაზეს, მაგრამ ახალი გამოწვევა არჩია.

შეგახსენებთ, რომ მაკფადენს ევრობასკეტის გასულ შესარჩევ ციკლში, საქართველოს ნაკრებში დიდი როლი ჰქონდა დაკისრებული. მან შვეიცარიასთან მატჩში 24 ქულა ჩააგდო, საუკეთესო თამაში კი ბელგრადში ჩაატარა, როდესაც 33 ქულა მიითვალა.

# თბილისი წიგნის საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლებს

24 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით თბილისი წიგნის საერთაშორისო ფესტივალს 23-ედ უმასპინძლებს.

წიგნის მოყვარულებს „ექსპო ჯორჯიაში“ ფესტივალის ორგანიზატორები წელს დამთვალიერებლებს განსაკუთრებული სიხარულითა და მრავალფეროვანი ღონისძიებებით დატვირთული პროგრამით ხვდებიან. პანდემიით გამოწვეული ერთწლიანი პაუზის შემდეგ ფესტივალი ტრადიციულ, ფიზიკურ ფორმატს უბრუნდება: 50-ზე მეტი მონაწილე, მათ შორის გამომცემლობები, წიგნის გამავრცელებელი ორგანიზაციები, უნივერსიტეტები და წიგნთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები; 100-მდე ლიტერატურული ღონისძიების 100-ზე მეტი მონაწილე მწერალი, მთარგმნელი, გამომცემელი, ლიტერატორი და ხელოვანი ფესტივალის მთავარ სცენაზე; ტრადიციული, განსაკუთრებული პროგრამა პატარებისათვის განკუთვნილ სპეციალურ საბავშვო სივრცეში ფესტივალის მეგობარ „თიბისისთან“ ერთად – ეს ყოველივე არასრული ჩამონათვალია იმ აქტივობებისა, რომლებიც წელს „ექსპო ჯორჯიაში“ გელით.

2021 წელი განსაკუთრებულია იმითაც, რომ გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია 125 წლისთავს აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით, თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი მოწვეულ სტუმრებსა და ერთგულ დამთვალიერებელს ისტორიულ ონლაინ ღონისძიებას წარუდგენს, რომლის ფარგლებშიც, მსოფლიო ასოციაციის სხვადასხვა დროის ოთხი პრეზიდენტი ერთ სივრცეში მოიყრის თავს და განიხილავს მსოფლიო საგამომცემლო სფეროსათვის საკვანძო თემებს, საგამომცემლო ინდუსტრიის უწყვეტ გზას წარსულიდან მომავლის-




კენ. ფესტივალის სტუმრებს ოფიციალურ გახსნაზე ვიდეო მიმართვით მიესალმება გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტი, ბოდურ ალ ქასიმი.

ფესტივალის გამორჩეული ნაწილია ფოკუს ქვეყნის პროგრამა. 2017 წელს ფესტივალის პირველი ფოკუს ქვეყანა იყო ნორვეგია, რომელმაც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმრის სტატუსი 2018 წელს საქართველოსგან გადაიბარა. ფოკუს ქვეყნები სხვადასხვა წლებში იყვნენ გერმანია და ფინეთი. 2020 წლის ფოკუს ქვეყნის სტატუსი თურქეთს მიენიჭა. პანდემიიდან გამომდინარე, აღნიშნული სტატუსით იგი 2022 წლის ფესტივალზე ისარგებლებს. მიუხედავად ამისა, თურქეთის ფოკუს ქვეყნის პროექტის საორგანიზაციო ჯგუფი მცირე დელეგაციით ეწვევა წლევანდელ ფესტივალს და ოფიციალური გახსნის ღონისძიებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

2021 წელს, არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფმა, ღონისძიების ტრადიციულ ფორმატში დასაბრუნებლად შეიმუშავა უსაფრთხოების საგანგებო პროტოკოლი და ყველა შეზღუდვის მკაცრად გასაკონტროლებლად დამატებითი სამუშაოები ჩაატარა. ფესტივალზე სტუმრობის მსურველთათვის, პავილიონებში მოსული დამთვალიერებლების ნაკადების გასაკონტროლებლად, საჭირო გახდა რეგისტრაცია თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის სრულიად ახალ ვებგვერდზე. აღნიშნულ საიტზე მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, დეტალურად გაეცნოს ფესტივალის პროგრამას და მიიღოს სხვა მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია ფესტივალის შესახებ.

რიგით 23-ე ფესტივალი ჰიბრიდული ფორმატით ხორციელდება და ფიზიკური ღონისძიების პარალელურად, მომხმარებლებს, სურვილის შემთხვევაში, წიგნების შეძენა ვებ გვერდზე, საფესტივალო ფასებად ონლაინ რეჟიმშიც შეეძლებათ.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი 1997 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და კავკასიის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე დიდი წიგნის ფესტივალია, რომელსაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ათასობით გულშემატკივარი და დამთვალიერებელი ჰყავს.

ფესტივალის მთავარი მიზანია საქართველოში წიგნის კითხვის პოპულარიზაცია, წიგნის ბაზრის რეგიონალიზაცია და საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა. წლების მანძილზე თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში წიგნიერების დონის ამაღლებას წარმატებით ართმევს თავს, რაზეც მიანიშნებს ფესტივალის დამთვალიერებლების, მასმედიისა და ახალი მონაწილეების მზარდი რაოდენობა. ფესტივალს ყოველწლიურად 100 000-მდე დამთვალიერებელი სტუმრობს, მონაწილეობს 200-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია.

# თბილისის ისტორიული გალავნის კედელზე უძველესი წარწერა ნაშალეს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

დასანგრევია. ანჩისხატის სამრეკლოც მოვშალოთ, სპარსული არქიტექტურის გავლენაა. შახტახტიც დავანგრიოთ, იქ იყო არაბების დაარსებული თბილისის პირველი ობსერვატორია.

რას ვებრძვით, საკუთარ ისტორიას და ქალაქს?! რატომ მოიხსნა ის მინა, რომელიც წლების მანძილზე იცავდა წარწერას?! ვინ არის პასუხისმგებელი?! რატომ არის ეს გალავნის ნაშთი ტუალეტად ქცეული?! რატომ არ არის დამონტაჟებული კამერები?! ამ კითხვებზე პასუხს ვინ გაგვცემს?!

**ლანა ჩოლოგაური:**

– ეს არის უნიკალური არაბული წარწერა, რომელიც გვიყვება თბილისის გალავნის ისტორიას VIII საუკუნეში! უმნიშვნელოვანესი ფრაგმენტი, რომელიც შეიცავს ზუსტ თარიღს (793 წელი). დატანილია პუშკინის ქუჩაზე მდებარე გალავნის ერთ-ერთი გოდოლის კედელში!

ამის ჩამდენი არის გაუნათლებლობისა და სიბეცის ეტალონი, ვანდალი! წარწერა სასწრაფოდ საჭიროებს რესტავრაცია-კონსერვაციას და დაცვას შემდგომი დაზიანებისაგან!!!

ბოლო პერიოდში მას აღარ გააჩნდა დამცავი მინა. გთხოვთ, დაუყოვნებლივ რეაგირებას და დახმარებას!

პ.ს უფრო ვრცლად წარწერაზე: თავდაპირველად დატანილი უნდა ყოფილიყო არაბობის დროინდელი თბილისის გალავანში. ქართველი და არაბი მკვლევარების მიერ განხილულია, როგორც ყველაზე ადრეული მონუმენტალური არაბული წარწერა აღმოსავლეთ სამყაროში. უფრო დეტალური ინფორმაციისთვის შემიძლია ამ წარწერის ქართული და ინგლისურენოვანი სტატიების გაზიარება.

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ** მომხდართან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა:

– პუშკინის ქუჩაზე მდებარე არქეოლოგიურ კომპლექსზე ვანდალურად გადაღებილი წარწერის რესტავრაციას, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შეტყობინების საფუძველზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო დარგის სპეციალისტებთან ერთად უზრუნველყოფს.

გაცემული ნებართვის საფუძველზე, ძველი გალავნის კარიბჭის კედელში ჩაშენებულ უძველეს არაბულ წარწერიან ქვიშაქვის ფილაზე აღდგენით სამუშაოებს უკვე აწარმოებენ სააგენტოს არქიტექტორ-რესტავრატორი და შპს „იუკონი და კომპანია“ -ს კონსერვაციის სპეციალისტი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# დანიამ რუსეთი გაანადგურა, უკრაინას და ფინეთს მცირე შანსები აქვთ

### რუსეთი-დანია 1:4

კოპენჰაგენი. პარკენი

0:1 დამსგაარდი (39), 0:2 პოულსენი (59), 1:2 ძიუბა (69პ), 1:3 კრისტენსენი (76), 1:4 მეჰლე (82)

**რუსეთი:** საფონოვი, ფერნანდეში, დივეიევი, ჯიქია, კუდრიაშოვი (კარავაევი 67), კუზიაევი (მუხინი 67), მირანჩუკი (სობოლევი 61), ოზდოევი (ჟემალეტდინოვი 61), ზობნინი, გოლოვინი, ძიუბა

**დანია:** შმეიხელი, კრისტენსენი, კიაერი, ვესტერგაარდი, ვასი (სტიგერ ლარსენი 60), ჰოიბერგი, დილეინი (იენსენი 86), მეჰლე, ბრაიტვაიტი (კორნელიუსი 85), პოულსენი (დოლბერგი 60), დამსგაარდი (ნორგაარდი 72)

გადამწყვეტი მატჩისთვის კარგად მომზადებულმა დანიამ 4:1 გაანადგურა რუსეთი, თავად მეორე ადგილით გავიდა ფლეი ოფში, ხოლო რუსეთი ჯგუფში ჩატოვა.

მოსალოდნელი იყო, რომ დანია პირველივე წუთებიდანვე გადავიდოდა შეტევებზე, მაგრამ არ უჩქარიათ და შეტევებს მეთოდურად ახორციელებდნენ. პირველად რუსთა კარში ნახევარი საათის თავზე დაარტყეს, მომდევნო კი უკვე გოლად იქცა – დამსგაარდმა საჯარიმოს გარედან ჩინებულად დაარტყა და დანია შესვენებაზე უპირატესობით გავიდა.

შესვენების შემდეგ ავანსცენაზე ზობნინი გამოვიდა, რომელმაც დანიელებს საჩუქარი გაუკეთა – ძალიან ცუდი პასი მეკარის მიმართულებით და ბურთი პოულსენს მიუვიდა, რომელსაც გატანა არ გასჭირვებია.

მართალია, სობოლევის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ძიუბამ გოლად აქცია და თითქოს მატჩს ინტრიგა დაუბრუნდა, მაგრამ კრისტენსენმა და მეჰლემ სტანისლავ ჩერჩესოვის გუნდის იმედები საბოლოოდ მოკლეს.

დანია, რომელსაც 2 ტურის შემდეგ ქულა არ ჰქონდა, ჯგუფში მე-2 ადგილზე გავიდა და ფინეთ-რუსეთს ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა. ახლა ძალიან მცირე შანსი მე-3 ადგილზე გასულ ფინელებსაც დარჩათ, მაგრამ უფრო სხვების იმედად უნდა იყვნენ.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – პიერ-ემილ ჰოიბერგი

ერიკსენის ტრავმის შემდეგ ტოტენჰემის ნახევარმცველი გუნდის ნამდვილ ლიდერად იქცა. ჰოიბერგი, როგორ კლასიკური საყრდენი, კარგია ართმევაში, მაგრამ არც შეტევებში ჩართვას ერიდება და გუნდის მამოძრავებელი ძალაა. ამ მატჩში 2 საგოლე პასიც მიითვალა, სულ კი ტურნირზე უკვე 3 დაუგროვდა.

### ფინეთი-ბელგია 0:2

სანკტ პეტერბურგი. სანკტ პეტერბურგ არენა

0:1 ჰრადეცკი (75სკ), 0:2 ლუკაკუ (82)

**ფინეთი:** ჰრადეცკი, რაიტალა, ტოივიო, არაიური, ო'შონესი, ურონენი (ალჰო 70), ლოდი (ფორსი 90), სპარვი (შულერი 59), კამარა, პოჰიანპალო (კაუკო 70), პუკი (იენსენი 90)

**ბელგია:** კურტუა, ბოიატა, დენაიერი, ვერმალენი, ტროსარი (მონიე 76), დე ბრუინი (ვანაკენი 90), ვიტსელი, შადლი, დოკუ (ბაჩუაი 76), ლუკაკუ (ბენტეკე 84), ე.აზარი

15 წუთი დააკლდათ ფინელებს სენსაციამდე და პირველად ისტორიაში ჯგუფიდან გავიდოდნენ. თუმცა, „სუფთა წესებით" თამაში არც რობერტო მარტინესის შეგირდებს არ უნდა დავუკარგოთ. მიუხედავად იმისა, რომ ბელგიის ჯგუფიდან გასული იყო და შემადგენლობაც გადაახალისა, მაინც მოიგო.

ბელგიელები კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობდნენ, ჰრადეცკის კარის მიმართულებითაც ხშირად ურტყამდნენ, მაგრამ გოლის გატანა დაუგვიანდათ. ერთი კი გაიტანა ლუკაკუმ მანამდე, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობის გამო გაუუქმეს.

ფინეთი ინარჩუნებდა ფრეს, მაგრამ ცოტა იღბალმაც დაალალატათ. ვერმალენის დარტყმის შემდეგ ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა, შემდეგ უხერხულად დაეცა მეკარის ხელზე და კარში შევარდა. მალევე ბელგიელთა ერთ-ერთმა ლიდერმა, ლუკაკუმ მეორეც გაიტანა და ბელგია უდანაკარგოდ გავიდა ჯგუფიდან. ფინელებს კი მთელი ყურადღება სხვა გუნდებზე აქვთ გადატანილი.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – კევინ დე ბრუინი

მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა ახალი მორჩენილი აქვს, დე ბრუინმა შესანიშნავი მატჩი ჩაატარა. 100-ზე მეტი შეხება ჰქონდა ბურთთან და თანაგუნდელებს მრავალი მომენტი შეუქმნა.

### საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბელგია | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| 2.დანია | 3 | 1 | 0 | 2 | 5:4 | 3 |
| 3.ფინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| 4.რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |

### უკრაინა-ავსტრია 0:1

ბუქარესტი. ნაციონალი

0:1 ბაუმგარტნერი (21)

**უკრაინა:** ბუშანი, მიკოლენკო (ბესედინი



86), მატვიენკო, ზაბარნი, კარავაევი, ზინჩენკო, სიდორჩუკი, შაპარენკო (მარლოსი 68), მალინოვსკი (ციგანკოვი 46), იარემჩუკი, იარმოლენკო

**ავსტრია:** ბახმანი, ლაინერი, დრაგოვიჩი, ჰინტერეგერი, ალაბა, შლაგერი, გრილიჩი, ლაიმერი (ილზანკერი 72), ზაბიცერი, ბაუმგარტნერი (შიოპფი 33), არნაუტოვიჩი (კალაიჯიჩი 90)

ფრე ორივე გუნდს აწყობდა, მაგრამ ხანდახან სპეციალისტებიც ცდებიან და ბუქმეიკერებიც. ყველა ვარაუდობდა, რომ გუნდები მშვიდობიანად დაშორდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ასე არ მოხდა. ამასთან მოიგო იმ გუნდმა, რომელსაც ნაკლებად ვარაუდობდნენ – ავსტრიამ უფრო ფავორიტად მიჩნეულ უკრაინას სძლია და საქმე გაურთულა.

უკრაინამ ულიმლამო ფეხბურთი აჩვენა, ანდრე შევჩენკოს გუნდმა მხოლოდ ერთხელ დაარტყა კარში, შეცდომები კი მრავლად ჰქონდა.

ავსტრიამ ცივსისხლიანად და თავდაჯერებულად ითამაშა. ფრანკო ფოდას გუნდს ჰქონდა გეგმა, რომელმაც იმუშავა. ერთადერთი გოლი პირველი ტაიმის შუაში გავიდა – კრისტოფ ბაუმგარტნერმა დავიდ ალაბას კუთხურის შემდეგ ეფექტური გოლი გაიტანა.

გოლის კარგი შანსი გაანიავეს ლაიმერმა და არნაუტოვიჩმა, თორემ ავსტრიელები შესვენებაზე უფრო კომფორტული უპირატესობით გავიდოდნენ.

მე-2 ტაიმში ავსტრიამ დიდი ოფლისღვრის გარეშე შეინარჩუნა სასურველი ანგარიში და პირველად ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ჯგუფიდან გავიდა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ფლორიან გრილიჩი

ავსტრია ცენტრში უპირატესობას რომ ფლობდა, ეს ჰოფენჰაიმის ფეხბურთელის დამსახურებაა. განსაკუთრებით საინტერესო სანახავი იყო მისი უბურთოდ თამაში, როდესაც ყველა კუნჭულს აკონტროლებდა.

### ნიდერლანდები-ჩრ. მაკედონია 3:0

ამსტერდამი. იოჰან კრუიფი

1:0 დეპაი (24), 2:0, 3:0 ვეინალდუმი (51, 58)

**ჩრ.მაკედონია:** დიმიტრიევსკი, ალიოსკი, მუსლიუ, ველკოვსკი, რისტოვსკი, ბარდი (სტოიანოვსკი 78), ადემი (ნიკოლოვი 78), ტრაიკოვსკი (ჰასანი 68), ელმასი, ტრიჩკოვსკი (ჩურლინოვი 56), პანდევი (კოსტადინოვი 69)

**ნიდერლანდები:** სტეკელენბურგი, დე ვრეი (ტიმბერი 46), დე ლიხტი, ბლინდი, დუმფრისი (ბერგჰუისი 46), დე იონგი (გაკპო 79), გრავენბერხი, ვან ანჰოლტი, ვეინალდუმი, დეპაი (პრომესი 66), მალენი (ვეგჰორსტი 66)

ნიდერლანდებსა და ჩრდილოეთ მაკედონიას შორის კლასში დიდი სხვაობა რომ არის, ამ თამაშმაც ნათლად დაადასტურა. ამასთან, ფრან დე ბურმა არ დაიზარა და სათამაშოდ ძირითადი შემადგენლობით გავიდა და ბალკანელებს განადგურება მოუწყვეს – 3:0.

ერთია, დასაწყისი მთლად კარგი არ იყო – მე-10 წუთზე მაკედონიელები კონტრშეტევაზე გაიქცნენ და გოლიც გაიტანეს, მაგრამ არ ჩაითვალა.

ტაიმის ეკვატორზე ნიდერლანდები ერთხელაც გადარჩა, როდესაც ტრაიკოვსკიმ ბურთი ძელს გაარტყა. თუმცა, მომენტებს დე ბურის შეგირდებიც ქმნიდნენ და რაც გაიტანეს, ალბათ ნახევარია, თუ ნაკლები არა. მემფის დეპაიმ, როგორც იქნა, გაისწორა მიზანი და ანგარიშიც გახსნა.

შესვენების შემდეგ მალევე ჟორჟინიო ვეინალდუმმა დუბლიც გაიფორმა და მატჩის ბედიც საბოლოოდ გადაწყვიტა. მატჩის ბოლოს მაკედონიამ კიდევ გაიტანა, მაგრამ არც ის ჩაუთვალეს და სამართლიანადაც.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ჟორჟინიო ვეინალდუმი

ნიდერლანდებმა ძალიან თავდაჯერებულად ითამაშა და ეს ვეინალდუმის დიდი დამსახურებაა. საყრდენი ნახევარმცველი ცენტრში ყველაფერს აკონტროლებდა, ამასთან, შეტევებში ჩასართავადაც იცლიდა და 2 გოლიც გაიტანა.

### საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიდერლანდები | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| 2.ავსტრია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| 3.უკრაინა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| 4.ჩრ.მაკედონია | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |

## შედეგები

21 ივნისი

ფეხბურთი

### ევრო 2020

უკრაინა-ავსტრია ........................ 0:1
ნიდერლანდები-ჩრ.მაკედონია .... 3:0
ბელგია-ფინეთი ............................ 2:0
რუსეთი-დანია .............................. 1:4

### კოპა ამერიკა

ურუგვაი-ჩილე .............................. 1:1
არგენტინა-პარაგვაი .................... 1:0

## კარიმ და მიჩელმა ამერიკის ნაკრებს უარი უთხრეს

ამერიკის შეერთებული შტატების საკალათბურთო ნაკრების სამწვრთნელო შტაბი ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე უძლიერესი შემადგენლობის შეკრებას გეგმავდა, მაგრამ რამდენიმე კალათბურთელმა ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა.

დიდი დანაკლისი იქნება გოლდენ სტეიტის გამთამაშებლის, სტეფ კარის არყოფნა. ამას დაუმატეთ იუტას უკანახაზელი დონოვან მიჩელი და აშშ-ის ოლიმპიადზე ორი წამყვანი კალათბურთელი დააკლდება.

არადა, კარი თითქოს ოლიმპიადაზე წასვლას აპირებდა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა, მიჩელს კი მარჯვენა ფეხის ტრავმა აქვს და ზაფხულში დასვენებას აპირებს.

ჯერჯერობით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ნაკრებში კაირი ირვინგის თამაშიც, ვინაც ნბა-ს ფლეი ოფის მატჩში ტრავმა მიიღო და მკურნალობის კურსს გადის. ასევე სათუოა ჯეიმს ჰარდენის ამბავიც.

ჯერჯერობით, ოლიმპიადაზე თამაშის თანხმობა განაცხადეს კევინ დურანტმა, ბემ ადებაიომ, ბრედლი ბილიმ, დევინ ბუკერმა, დემიენ ლილარდმა, ჯეისონ ტეიტუმმა და დრაიმონდ გრინმა.

ამ შვიდეულის გარდა, ნაკრების მწვრთნელ გრეგ პოპოვიჩს კიდევ ხუთი კალათბურთელი სჭირდება, რათა გუნდი სრულად დააკომპლექტოს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## პეტრიაშვილი განთესილია და უშუალო კონკურენტს ფინალამდე შეხვდება



ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანებამ ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის თავისუფალ ჭიდაობაში წინასწარი განთესვა გამოაქვეყნა. მძიმე წონით კატეგორიაში განთესვის თავში საქართველოს ნაკრების ლიდერი გენო პეტრიაშვილი დგას.

ტოკიოში მედლები 6 წონით კატეგორიაში გათამაშდება. ქართველებს 3 ლიცენზია გვაქვს. აქედან პეტრიაშვილი ერთადერთია, ვინც საუკეთესო ოთხეულში მოხვდა. ავთანდილ კენჭაძე (74 კგ.) და ელიზბარ ოდიკაძე (97 კგ.) კი განთესილთა შორის ვერ მოხვდნენ.

პეტრიაშვილის წონაში მე-3 ადგილზეა თურქი ტაჰა აკგული, რომელიც ჩვენებურის უშუალო კონკურენტია. ეს კი ნიშნავს, რომ ფინალამდე გადაეყარონ ერთმანეთს.

აკგული 2016 წლის რიოს ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, მსოფლიოს 2-გზის და ევროპის 8-გზის ჩემპიონია. ჩვენებურს კი, მსოფლიოს ჩემპიონატი 3-ჯერ აქვს მოგებული, ევროპის პირველობა – 2-ჯერ. რიოში პეტრიაშვილი მესამე ადგილზე გავიდა.

ზაფხულის 32-ე ოლიმპიური თამაშები იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში 23 ივლისიდან 8 აგვისტომდე პერიოდში ჩატარდება.


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**



**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 2. შთამომავლობის თითოეული საფეხური; 3. ქვის ხავსი; 5. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 6. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 10. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 12. ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 14. აეროპორტი ქაიროში; 15. ტროპიკული პალმის ნაყოფი, ინდისხურმა; 16. ბერძნული ანბანის ბოლო ასო.

**თარაზულად:** 1. ისტორიული ქართული სამეფო შავი ზღვის სანაპიროზე; 4. რაიმე პროცესის ნორმალური მიმდინარეობის დარღვევა, მწვავე შეხლა-შემოხლა; 7. ჰოლივუდის კინორეჟისორი, სამი ოსკარის ლაურეატი; 9. ფიგურული სახაზავი; 11. საადგილმამულო საკრედიტო დაწესებულება ძველად საქართველოში; 12. ქართველი ფრენბურთელი მამაკაცი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. სისხლის შენადედი სისხლძარღვებში; 17. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 18. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 19. ძვირფასი ქვა; 20. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. უტზონი; 2. ციცქა; 3. პრიზმა; 4. მალაგა; 6. მაჩაიძე; 9. წაბლი; 11. მიამიტი; 15. ქიმერიონი; 16. ბორანო; 17. კორექცია; 19. აქსიომა; 21. სტაიერი; 22. ცაცხვი.

**თარაზულად:** 5. სტატისტი; 7. არაბული; 8. ალონსო; 10. ფარვანა; 12. გორდი; 13. ფიალა; 14. სალუქვაძე; 18. რუმბა; 20. ქოქოსი; 23. საირმე; 24. აისი; 25. თუნუქი; 26. ვანი; 27. კრახუნა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჯიდა; 2. რვალი; 3. ოპიუმი; 5. თოლია; 6. თავკვერი; 8. დეიტერიუმი; 10. რიტუალი; 12. ჟურნალი; 14. ტიფოზი; 15. დინასი; 16. კეინი.

**თარაზულად:** 1. ჯოკერი; 4. ათინათი; 7. დრაივი; 9. მუთაქა; 11. სიმონია; 12. ჟოეკვარა; 13. სულორი; 17. გეიტსი; 18. გუჩი; 19. პლატფორმა; 20. მისისიპი.

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


23 ივნისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 3.1653 | ევრო — 3.7658 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3947 | 100 რუსული რუბლი — 4.3321 |

## ამინდის პროგნოზი 23 ივნისისათვის




## მესიმ ნაკრებში 147-ე თამაში ჩაატარა



არგენტინის ნაკრების ლიდერმა და კაპიტანმა ლიონელ მესიმ ნაკრების შემადგენლობაში 147-ე შეხვედრა ჩაატარა და ამით ის ხავიერ მასკერანოს გაუთანაბრდა, რომელსაც ამ დრომდე რეკორდი ეკუთვნოდა. არგენტინის ნაკრებმა პარაგვაი 1:0 დაამარცხა. მესი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე, მაგრამ მას გოლი არ გაუტანია.

არგენტინის ნაკრები ჯგუფიდან ადვილად გავიდა და ის კოპა ამერიკის ერთ-ერთი ფავორიტია.

## დემბელემ შესაძლოა 3 თვე გამოტოვოს



უსმან დემბელემ შესაძლოა 3 თვე გამოტოვოს, რადგან მისი ტრავმა უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ამას თავდაპირველად ფიქრობდნენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას შესაძლოა მუხლზე ოპერაციაც კი დასჭირდეს. თუ ასე მოხდა, მაშინ უსმანი სეზონის დასაწყისს გამოტოვებს და ამის გამო შესაძლოა ბარსელონამ მის გაყიდვაზეც კი იფიქროს.

## არტიომ ძიუბა: „გინებას ვიმსახურებთ“



რუსეთის ნაკრების ფორვარდმა არტიომ ძიუბამ დანიასთან მარცხის შემდეგ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა კრიტიკა დაიმსახურა და მას არ გაუკვირდება, თუ გულშემატკივარი მათ უწმაწური სიტყვებით მოიხსენიებს:

— შემიძლია ვთქვა, რომ ჩავისვარეთ, თუმცა დანიასთან თანაბარი მატჩი იყო და უბრალოდ სულელურმა გოლმა ყველაფერი შეცვალა. ქომაგებს შეუძლიათ, დედა გვაგინონ, ალბათ ისინი მართლები იქნებიან.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## „მასტერშეფის“ გამარჯვებული დიმიტრი შარაშიძე გახდა



კულინარიული შოუს „მასტერშეფის“ მეხუთე სეზონის გამარჯვებული დიმიტრი შარაშიძე გახდა. ის პირველი მოყვარული მზარეულია, რომელიც ამ შოუს ჟიურის რჩეული გახდა.

კონსტანტინე თედელურმა, ლუკა ნაჭყებიამ და ლევან კობიაშვილმა სამი ფინალისტის იოსი კაკიაშვილის, დიმიტრი შარაშიძისა და ნინო ვარშანიძის მომზადებული კერძებიდან საუკეთესო დაასახელეს.

ლევან კობიაშვილმა გამარჯვებული თავად დაასახელა და დიმიტრი შარაშიძეს, იგივე დიტრიხას შოუს მთავარი პრიზი გადასცა.

ფინალისტებმა შოუს სპონსორი კომპანიებისგან სხვადასხვა საჩუქრები მიიღეს. დიტრიხა კი „მასტერშეფის“ ტიტულთან ერთად გადაცემის მთავარი პრიზის — ბინის მფლობელიც გახდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## იუმორი

ტელეფონი რეკავს და მამაკაცის აღელვებული ხმა კითხულობს:

— ალო, პოლიციაა?

— დიახ.

— გთხოვთ, გევედრებით, დამეხმარეთ... ჩემი სიდედრი დაიკარგა...

— თქვენი მესმის. შეეცადეთ, ყურმილი დიდხანს არ დაკიდოთ. მიპასუხეთ მხოლოდ „კი“ ან „არა“. პისტოლეტით გემუქრებიან?...

●●●

ექიმი პალატაში შედის და ახლადმიღებულ ავადმყოფებს ათვალიერებს. ყველას თავის ტრავმა აქვს. ექიმი პირველს ეკითხება:

— რით მიიღე თავის დაზიანება?

— ტაფით...

— თქვენ? — ეკითხება მეორე ავადმყოფს.

— მეც ტაფით...

— თქვენ? — ეკითხება მესამეს.

— მეც ტაფით...

— ეს რა ეპიდემიაა ასეთი? — კითხულობს გაკვირვებული ექიმი.

— არა, ექიმო... — პასუხობს ერთ-ერთი, — აი, იმ მამაკაცს, უგონოდ რომ წევს, ხომ ხედავთ?

— დიახ და მერე?

— თავის ცოლს გაურბოდა და შეეცადა, ხალხს შერეოდა და დამალვოდა...

●●●

— ზოგჯერ საქმე ჩაფიქრებულზე უკეთესი გამოდის, — ჩაილაპარაკა მამაკაცმა, რომლის მიერ კატისთვის ნასროლი ფეხსაცმელი სიდედრს მოხვდა თავში.

●●●

ტელეფონის ზარი. ქალი ამბობს:

— გამარჯობა. მე ლელა მქვია და ნიანგი მოვიპარე ზოოპარკიდან.

— ეს ანონიმი ალკოჰოლიკების საზოგადოებაა.

— და რა, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ფხიზელმა გავაკეთე?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ლევან ანჯაფარიძე: „ძველ კინოსტუდიაში მაგარი „ფაფხური“ ატყდა“



რეჟისორი ლევან ანჯაფარიძე აცხადებს, რომ პლეხანოვზე მდებარე კინოსტუდიაში დიდი „ფაფხურია“:

— ძველ კინოსტუდიაში, რომელიც პლეხანოვზე მდებარეობს, მაგარი „ფაფხური“ ატყდა. ახლა გაახსენდათ იქ „მოღვაწე“ გამგეობებს, ფონდებს, დირექტორებს, რომ შემოსული თანხიდან, რაღაც მაინც უნდა დაახარჯო ქართული კინოს აკვანს და ამ დალოცვილ მიწაზე, სადაც ქართული კინოსა და თეატრის გენიოსები დადიოდნენ, არ შეიძლება წელს ზემოთ ტიტველი კაცები „დატანტალებდნენ“.

დიდი მადლობა თეა, მიძინებული სავანის გამოღვიძებისათვის. იმედი მომეცა, რომ ქართული კულტურის დონე, კვლავ სათანადო სიმაღლეზე ავა და გემოვნებაც ამაღლდება. გაიხარეთ!

## დავით ფოცხიშვილი: „ხელოვნება და სპორტი ნუ გვერევა ერთმანეთში“



ქორეოგრაფ დავით ფოცხიშვილს მიაჩნია, რომ ხელოვნება და სპორტი ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს:

— ხელოვნება და სპორტი ნუ გვერევა ერთმანეთში. ხელოვნება გაცილებით და კიდევ უფრო ჩვენი მეობის და იდენტობის გამომხატველია. დიდი როლი უჭირავს ხელოვნებას ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურობაში. აღარ დავწვრილმანდები.

სპორტი ეს სრულიად სხვა სახის და სხვა ჟინის გამომხატველია. სპორტში რაც მოსულა, ის ხელოვნებაში დაუშვებელია. ყველამ კარგად ვიცით, რომ რუსეთი ოკუპანტია და სიტყვა ოკუპანტის უკან დგანან ერთეული რუსი პოლიტიკოსი ჯალათები.

ჩემი აზრით, ქართული პოლიტიკა უფრო პრინციპული უნდა გახდეს. ვენაცვალე ყველა იმ მსახიობს, სპორტსმენს და ყველა იმ ადამიანს, ვისშიც ცხოვრობს პატრიოტი.

ამაზე აუცილებლად უნდა იმსჯელოს პარლამენტმა და ასევე საზოგადოებამ.

## ვერკა ჯაჯანიძე: „დრო არ მაქვს, რომ სხვისი ცხოვრება ვათვალიერო“



მოცეკვავე ვერკა ჯაჯანიძე აცხადებს, რომ სხვების ცხოვრების განსჯისა და თვალიერებისთვის დრო არ აქვს:

— მე დრო არ მაქვს, რომ სხვისი ცხოვრება ვათვალიერო, განვსაჯო და განვიკითხო. არც იმის დრო მაქვს, სხვადასხვა ტიპისა და ხასიათის ადამიანების სჯა-ბაასს ვუსმინო, ირონიულად, ცნობისმოყვარედ რომ იმზირებიან. მე არ ვიცი სხვა ცხოვრებაში რა ჯოჯოხეთს ან რა სიხარულს გადის, და არც იმ სხვამ იცის ჩემი სახლის დახურულ კარს მიღმა რა ხდება.

ერთადერთი, რისთვისაც დრო მაქვს — დახმარება, იმედიანი სიტყვის თქმა, გამხნევება და სიყვარულია. სხვა დანარჩენი ჩემთვის უმნიშვნელო და უინტერესოა.

## თბილისის ისტორიული გალავნის კედელზე უძველესი წარწერა წაშალეს

თბილისის შუაგულში, პუშკინის ქუჩაზე მდებარე არქეოლოგიურ კომპლექსზე, ისტორიული გალავნის კედელზე ვანდალიზმი განხორციელდა.

**ცირა ელისაშვილი:**

— თბილისში სულ 3 ეპიგრაფიკული არაბულწარწერიანი ძეგლია ნაპოვნი. ერთი სეიდაბადში (მე-7 ს.), მეორე სოფელ დიღომთან მაჩხანში (მე-9 ს.) და მესამე 2012 წელს გამოვლინდა, პუშკინის ქუჩაზე, ძველ გალავანში ჩაშენებული ლოდის სახით, რომელზეც 6-სტრიქონიანი ამოკაწრული არაბული წარწერაა დატანილი. პირველი 4 სტრიქონი არ იკითხება. ბოლო ორი — ნაწილობრივ. წარწერა არაბული კალიგრაფიის ქუფურ სტილს განეკუთვნება. ტექსტი გვამცნობს, რომ წარწერა შესრულებულია სალლამ იბნ ჰაბბანის ან ჰაიანის მიერ ჰაჯის მეორე საუკუნეში, ანუ ჩვენი წელ-



თაღრიცხვით მე-8 — მე-9 საუკუნეების მიჯნაზე.

ეს წარწერა ქვიშაქვაზეა გაკეთებული. ქვიშაქვა რბილი და პრობლემური ქვაა, გამოქარვისა და გაფხვიერებისკენ მიდრეკილი.

ვიღაც ვანდალმა გადაწყვიტა თბილისში არაბული კვალის მოსპობა და ცხელი გუდრონით გადაშალა წარწერა! ეს არის კანონის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მუხლი 31-ის დარღვევა, რაც ძეგლის განზრახ დაზიანებას ნიშნავს და ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით!

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო — ამოიღეთ კამერები! დააკავეთ დამნაშავე! საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა — რას ელოდებით!

რას ვშლით და ვანადგურებთ, ისტორიას?! თბილისის საამირო კვალს?! არაბების 400-წლიან ბატონობას?! ამ „ლოგიკით“ სპარსელების აშენებული ნარიყალაც


გაგრძელება მე-6 გვერდზე


## ასტროპროგნოზი

23 ივნისისათვის



**ვერძი** — იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** — საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** — კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** — შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** — პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** — კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** — სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **ღრიანკალი** — გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** — ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** — სულიერი და მატერიალური ალმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** — მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** — სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კლიმატური კურორტი თბილისის მახლობლად; 2. საარაყე ტიკჭორა; 3. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 4. ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში; 6. გზის საფარი; 9. სახელდახელოდ შეთხზული, გამკილავი შინაარსის ლექსი; 11. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 15. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 16. ტყავის დამამზადებელი ოსტატი; 17. ისლამის ფუძემდებელი; 19. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი, კინორეჟისორი მამაკაცი; 21. ქიმიური ინდიკატორი; 22. თემის, გვარის მეთაური სვანეთში.

**თარაზულად:** 5. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 7. ურუგვაის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი; 8. ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგი, აკადემიკოსი; 10. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 12. ძაფზე ასხმული სამკაული; 13. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 14. ფრანგი მარშალი, შვეციის მეფე; 18. მოვლენის, სამუშაოს დასრულებული წრე, დროის გარკვეული მონაკვეთი; 20. ავღანეთის დედაქალაქი; 23. ყოველდღიური გაზეთი ბრიტანეთში; 24. ბრიტანული ტაქსი; 25. აზერბაიჯანული სასიმღერო ჟანრი; 26. საკარმიდამო მამული საფრანგეთში; 27. საავადმყოფოს სახელწოდება ძველად საქართველოში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

